

საპარაუდოდ კოლიტიკურად მოტივირებული  
საქმეების სასამართლო პროცესების  
მონიტორინგი



შემაჯამებელი ანგარიში



2022

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული  
საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი

(შემაჯამებელი ანგარიში)



**ავტორი:** გიორგი ტყეშელაშვილი

**რედაქტირება:** ადევო ცქიტიშვილი, გიორგი ვაკუბავა

**მონიტორები:** ანი ფონჩხიძე, თამარ ქურთაიანი, ნინო ჩხეიძე

### **ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ**

ანასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

### **ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:**

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH); [www.fidh.org](http://www.fidh.org)
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS - წამება); [www.omct.org](http://www.omct.org)
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი [www.humanrightshouse.org](http://www.humanrightshouse.org)
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ანასამთავრობოთა კოალიცია (CICC); [www.coalitionfortheicc.org](http://www.coalitionfortheicc.org)

### **მისამართი:**

0160 თბილისი, ა. გაბოვიძის ქ. 11ა, III სართული

ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48

ელ-ფოსტა: [hrc@hrc.ge](mailto:hrc@hrc.ge)

ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების შესახებ: <http://www.humanrights.ge>

ვებ-საიტო: [hrc.ge](http://hrc.ge)



*ანგარიში მომზადდა აშშ-ის ფონდ „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით. ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ადამიანის უფლებათა ცენტრს და შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორის პოზიციას. შესაბამისად, NED არ არის პასუხისმგებელი ტექსტის შინაარსზე.*

## სარჩევი

შესავალი .....	4
მეთოდოლოგია .....	6
სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები .....	7
მიხედვით სააკაშვილის მიმართ განხორციელებული მოპყრობის ფაქტების შეფასება .....	42
გასამართლების უფლება გონივრულ ვადაში.....	49
უდანაშაულობის პრეზუმფცია .....	50
შერჩევითი სამართალი.....	52
ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის პრობლემა .....	53
დისტანციური წესით გამართული სასამართლო სხდომების ხარვეზები	54
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლო მონიტორინგის მიგნებები .....	55
ადმინისტრაციული დაკავებისა და ადმინისტრაციული პატიმრობის პრაქტიკა .....	56
მტკიცებულებების გამოკვლევა და საქმის განხილვის პროცედურა.....	58
სასამართლო გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა.....	59
19-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული „ამნისტიის შესახებ“ კანონი და პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები .....	60
დასკვნა .....	62
რეკომენდაციები.....	64

## შესავალი

წინამდებარე ანგარიში, ძირითადად, ასახავს 2021 წლის 1 თებერვლიდან 30 დეკემბრამდე სავარაუდო პოლიტიკური მოტივით მიმდინარე სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგებს. ანგარიშში, აგრეთვე, ასახულია მედიის წარმომადგენელზე მისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე თავდასხმის ფაქტებზე მიმდინარე სასამართლო სხდომების მონიტორინგის შედეგები.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა, სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგად, დააგროვა მნიშვნელოვანი, მოცულობითი ინფორმაცია. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა მონიტორინგის განმავლობაში სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში არსებული ტენდენციების შეფასება, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულ, გახმაურებულ სისხლის სამართლის საქმეებზე დარღვევების იდენტიფიცირება და ანალიზი. ანგარიშში წარმოდგენილია ის საკითხები, რითაც განპირობებული იყო სასამართლო მონიტორინგის დაწყების აუცილებლობა და ასევე - თვალსაჩინო პრობლემები, რაც გამოვლინდა მონიტორინგის პროცესში სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში.

2020 წლის მსგავსად, კვლავ აქტუალურია სამართლიანი სასამართლოს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო სტანდარტების დაცვის კუთხით არსებული პრობლემები. ამასთან, 2021 წლიდან იმატა პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მიმართ სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებულმა სასამართლო პროცესებმა, როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სისხლის სამართლის საქმეებზე.

ადამიანის უფლებათა ცენტრი სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სისხლის სამართლის საქმეებს საერთო სასამართლოებში აკვირდება პროექტის - „იურიდიული დახმარება და ადამიანის უფლებების მონიტორინგის“ ფარგლებში. 2020 წელს დაწყებული სასამართლო პროცესებისა და საპროტესტო აქციების მონიტორინგის პროექტი<sup>1</sup> 2021 წლის 1 თებერვლიდან გაგრძელდა და

<sup>1</sup> **შენიშვნა:** 2020-2021 წელს პროექტის განმავლობაში ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოამზადა 12 ანალიტიკური დოკუმენტი, 2 შუალედური და 2 შემაჯამებელი ანგარიში, მათ შორისაა: 1) „გიორგი უჯულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“: <https://bit.ly/33SghZx>. 2) „2019 წ. 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი“: <https://bit.ly/2XUIHFh>. 3) „ირაკლი ლერუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“: <https://bit.ly/31NEpka>. 4) „გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე სამართლებრივი ანალიზი“: <https://bit.ly/2CkSOfd>. 5) „ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება“: <https://bit.ly/33NghAb>. 6) სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შუალედური ანგარიში: <https://bit.ly/2JZ0eZh>. 7) სავარაუდოდ

30 დეკემბერს დასრულდა<sup>2</sup>.

2020 წლის 1 თებერვლიდან 2021 წლის დეკემბრამდე, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ქვეშ მოექცა 42 სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმე. 2021 წელს 11 თვის განმავლობაში ორგანიზაციის სასამართლო მონიტორები ჯამში დააკვირდნენ 140 სასამართლო სხდომას.

42 საქმიდან, ნაწილი დასრულებულია, ნაწილი კი პირველი ინსტანციის სასამართლოში მიმდინარეობს. ამასთანავე, რიგი გადაწყვეტილებები თბილისის სააპელაციო სასამართლოშია გასაჩივრებული.

2021 წლის 11 და 19 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის ორგანიზებით (FIDH), ადამიანის უფლებათა ცენტრის (HRC) წარმომადგენლები შეხვედრენ ევროპარლამენტის წევრებს<sup>3</sup>. შეხვედრისას ცენტრის წარმომადგენლებმა ისაუბრეს სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების მიმდინარეობისა და ორგანიზაციის მიერ მომზადებული ანგარიშების შესახებ, ასევე - შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილ ხარვეზებზე და ტენდენციებზე. შეხვედრის ფარგლებში საუბარი წარმოართა მართლმსაჯულების მიმართულებით არსებული ხარვეზებისა და გამოწვევების შესახებ, ასევე - საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ.

2021 წლის სექტემბერს გამოქვეყნდა HRC-სა და FIDH-ის მიერ მომზადებული დოკუმენტი „სიახლეები საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ“<sup>4</sup>, რომელშიც შეფასებულია 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები და პოლიტიკური კონტექსტი, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის, მშვიდობიანი შეკრების უფლების, უკანონო მიყურადების ბრალდებების მხრივ არსებული პრობლემები.

საბოლოო ჯამში, 2020 წლის მსგავსად, 2021 წელსაც, პოლიტიკოსების და აქტივისტების სისხლისსამართლებრივი დევნის დისპროპორცია, მატერიალურ და პროცესუალურ დარღვევებთან ერთად, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე

---

*პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში: <https://bit.ly/2X54qNc>; 8. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგის შუადღეური ანგარიში, 2021. <http://www.hrc.ge/290/geo/>; 9) 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული საქმეები - პოლიტიკური მართლმსაჯულება და სადავო ამნისტია, 2021. <http://www.hrc.ge/files/10220-21%20june.pdf>*

<sup>2</sup> **შენიშვნა:** პროექტის ფარგლებში, ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორები 2020 წლის თებერვლიდან 2021 წლის დეკემბრამდე ჯამში, 236 სასამართლო სხდომას დააკვირდნენ.

<sup>3</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <http://www.hrc.ge/300/geo/>

<sup>4</sup> იხ. სიახლეები საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ: ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH) ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC). <https://bit.ly/3ozc3Wq>

ბაღებს საფუძვლიან ეჭვებს ამ ანგარიშში განხილული სისხლის სამართლისა თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეებში შერჩევითი სამართლისა და პოლიტიკური მოტივების შესახებ.

## მეთოდოლოგია

სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის პროექტი განხორციელდა ადამიანის უფლებათა ცენტრის (Human Rights Center) მიერ ექსპერტების მონაწილეობით შემუშავებული სასამართლო პროცესების მონიტორინგის მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომლის მიზანია, მონიტორინგის ქვეშ არსებული სასამართლო პროცესებისა და ქვეყნის შიდა კანონმდებლობის სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებში შესაძლო ხარვეზების, ასევე - ხელისუფლების სავარაუდო პოლიტიკური მოტივების იდენტიფიცირება და ანალიზი.

2021 წლის განმავლობაში სასამართლო პროცესებს აკვირებოდა 3 სასამართლო მონიტორი, რომლებმაც სასამართლო პროცესების მონიტორინგის შესახებ სპეციალური ტრენინგი გაიარეს. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია მოიცავდა კონკრეტულად სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პროცესებისთვის მომზადებული სპეციალური კითხვარებით მუშაობას. სასამართლო იურისტ-მონიტორები ყოველი სასამართლო სხდომის შემდეგ ამზადებდნენ ანგარიშებს და აღწერდნენ სასამართლო სხდომების დეტალებს. მონიტორების მიერ მიწოდებული ანგარიშების გაცნობისა და გააანალიზების შემდეგ, იურისტი ანალიტიკოსი დამუშავებულ ინფორმაციის იყენებდა ანალიტიკური დოკუმენტების და საჯარო ანგარიშების მომზადებისთვის. თითოეულ გამოქვეყნებულ დოკუმენტში, ანალიტიკოსის მიერ გააანალიზებულია, რამდენად შეესაბამება სამართალწარმოება საერთაშორისო სტანდარტებს, აღიარებულ პრაქტიკას და საერთაშორისო ვადლებულებებს.

წინამდებარე ანგარიშში, ასევე, ეყრდნობა მონიტორინგის ქვეშ არსებულ საქმეების შესახებ გამოქვეყნებულ სხვადასხვა დოკუმენტს და კვლევისას გამოვლენილ მიგნებებს. ამასთან, კვლევის პროცესში დამატებით შესწავლილია საქმეებში არსებული ბრალდების შესახებ დადგენილებები, დაცვისა და ბრალდების მხარეების შუამდგომლობები, სასამართლოების მიერ მიღებული განჩინებები, შუადედური გადაწყვეტილებები, განაჩენები/გადაწყვეტილებები.

სასამართლო პროცესების მონიტორინგი ეფუძნება ობიექტურობას, სასამართლო პროცესებში ჩაურევლობის მკაცრი პრინციპების დაცვას. ამავე

ეროს, მონიტორინგის პარადიგმად, სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული, გახმაურებული პროცესებისადმი სამოგაძღოების დიდი ინტერესის გამო, ადამიანის უფლებათა ცენტრი მუდმივად ხელმისაწვდომს ხედავს მნიშვნელოვან ინფორმაციას სასამართლო სხდომების წარმართვისა და დასკვნების შესახებ პროცესში ჩართული მხარეებისთვის, მედიისა და სამოგაძღოებისთვის.

## **სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები**

2020 წლის თებერვლიდან - დღემდე, ადამიანის უფლებათა ცენტრის დაკვირვების ქვეშ მოექცა ჯამში 42 საქმე, რომელთაგან ნაწილის განხილვა სასამართლოში დასრულებულია.

**1. მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმე.** თბილისი ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს, მამუკა ხაზარაძესა და მის მოადგილეს, ბადრი ჯაფარიძეს (ამჟამად - პოლიტიკური ორგანიზაციის - „დღელ საქართველოსთვის“ დიდებულები, საქართველოს პარლამენტის დეპუტატები) ბრალი ედებათ სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტებით, რაც გულისხმობს უკანონო შემოსავლის რეგალირაციას, რომელიც განხორციელდა ჯგუფურად და თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. ხოლო TV პირველის მფლობელის მამის, ავთანდილ წერეთლის მიმართ წარდგენილი ბრალი გულისხმობს უკანონო შემოსავლის რეგალირაციაში დახმარებას (25-194 მუხლის მე-2 ნაწ-ის „ა“ და მე-3 ნაწ-ის „გ“ ქვ/3). სისხლის სამართლის საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზეა. საქმეს არსებითად იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი ებანოიძე. განსახილველ საქმეზე ამ ეტაპზე მიმდინარეობს მტკიცებულებათა გამოკვლევა და მოწმეთა დაკითხვა.

### **სასამართლო სხდომებზე დაკვირვების შედეგები:**

2021 წლის თებერვლიდან 30 ნოემბრამდე, საქმეზე ჩატარდა 8 სასამართლო სხდომა. სასამართლო სხდომები გაჭიანურებულია, რის შედეგადაც, შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს გონივრულ ვადაში საქმის განხილვის უფლების დარღვევას.

სასამართლო სხდომებზე განიხილეს ნიდერლანდების სამეფოს შესაბამისი უწყების მიერ მომზადებული დასკვნა. დაიკითხნენ ბრადღების მხარის მოწმეები. მოწმეთა ჩვენებებით, ვერ მტკიცდება ბრადღებულთა მიერ სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა. რაც შეეხება დასკვნას, ამ დოკუმენტის მოსამზადებლად, ბრადღების მხარემ ნიდერლანდების სამეფოს მიმართა სამართლებრივი დახმარებისთვის. ხოლო იქიდან მიღებული პასუხის შემდგომ, უარი თქვა დასკვნის საქმეზე მტკიცებულებად დართვაზე. დაცვის



მხარეს სურდა, საქმეზე მტკიცებულებად დართულიყო ეს დასკვნა, ზოგიერთი მნიშვნელოვანი თანდართული დოკუმენტით, რასაც ბრალდების მხარე არ დაეთანხმა და აღნიშნა, რომ ამას მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ ამ დასკვნაზე თანდართულ დოკუმენტებს წარმოადგენენ სრულად, 203 გვერდის ოდენობით, რადგან „ამოგვეჭიდა“ სასამართლოსთვის წარდგენილი მასალა შეცვლის კონტექსტს.

დაცვის მხარე არ დაეთანხმა ბრალდების მხარის მოსაზრებას. ასევე, არ დაეთანხმა ბრალდების შუამდგომლობას დანარჩენი დოკუმენტების მტკიცებულებად წარდგენასთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ ბრალდების მხარემ სასამართლო პროცესზე უარი თქვა ნიდერლანდების სამეფოს მთავრობის დასკვნის მტკიცებულებად წარდგენაზე. მოსამართლემაც გააჟღერა იგივე, შეახსენა ბრალდების მხარეს, რომ მათ უარი თქვეს წინა სხდომაზე, დასკვნა და შესაბამისი დოკუმენტები დართვოდა საქმეს. საბოლოოდ, მხარეები შეთანხმდნენ, რომ დისკვი, რომელიც ახსენა ბრალდების მხარემ, გადაეცემოდა დაცვის მხარეს და თუ დასკვნის და თანდართული დოკუმენტების ნუსხა იქნებოდა მითითებული, თანახმა იქნებოდნენ, დისკვიც და დასკვნასთან არსებული დოკუმენტაციაც სრულად დართვოდა საქმეს, როგორც დაცვის მტკიცებულება.

**2. ჟურნალისტ ვახტანგ სანაიაზე თავდასხმის საქმე.** 2021 წლის 25 თებერვალს ჟურნალისტ ვახტანგ სანაიას თავს ნასვამი მდგომარეობაში მყოფი სამი პირი დაესხა. ჟურნალისტი ოჯახის წევრებთან, მათ შორის - მცირეწლოვან შვილთან ერთად იმყოფებოდა და სამაშველო სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად პირადი ავტომანქანის აღმართზე აყვანას ცდილობდა. მისი თქმით, ამ დროს ბრალდებულებმა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს, დაემუქრნენ და მისი ოჯახის წევრებს ფიზიკურად გაუსწორდნენ. ამავდროულად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე ჯგუფურად ძაღაღობის ბრალდებით დააკავა სამი პირი. შსს-ს მიერ გავრცელებული ცნობით, ნასვამი მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულებმა, ურთიერთშედაპირაკვების ნიადაგზე, ჯგუფურად ფიზიკური ძაღაღობა განახორციელეს ვახტანგ სანაიასა და მისი ნათესავის მიმართ. დაკავებულ სამ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 126-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით წარედგინათ. საქმე საქადაქო სასამართლოში გიორგი კერატიშვილის თავმჯდომარეობით არსებითად განიხილებოდა.

### **სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგები:**

2021 წლის თებერვლიდან საქმეზე ჩატარდა 5 სასამართლო სხდომა. 2021 წლის 25 აგვისტოს, თბილისის საქადაქო სასამართლომ განაჩენი გამოიტანა: სასამართლომ ბრალდებულ სულიკო საყვეარშიშვილს, დისკრიმინაციული მოტივით, ვახტანგ სანაიასთვის ფიზიკური ძაღაღობისათვის შეუფარდა 6

თვით თავისუფლების აღკვეთა და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა, ხოლო გიორგი სახელაშვილი და ვაჟა გიგაური მოსამართლემ დამნაშავედ ცნო 126-ე და 156-ე მუხლებით და მიუსაჯა 6-თვიანი პატიმრობა. დამატებით, ვაჟა გიგაურს, ასევე, დაეკისრა 2500-ლარიანი ჯარიმა.

სასამართლომ სამივე ბრადგებულს მინიმალური სასჯელი - 6-თვიანი პატიმრობა შეუფარდა, რისი ვალაც განაჩენის გამოცხადების დღესვე - 25 აგვისტოს ამოიწურა. შედეგად, მათ საპატიმრო იმ დღესვე დატოვეს. მოსამართლემ, კოვიდრეგულაციებზე ზეპირი მითითებით, დარბაზში არ დაუშვა დაზარალებული ჟურნალისტის, ვახტანგ სანაიას ადვოკატი, რითაც ადვოკატს შეეზღუდა სხდომაზე დასწრების შესაძლებლობა, რაც წარმოადგენს ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში დაუსაბუთებელ ჩარევას.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ჟურნალისტისა და მისი ოჯახის წევრებზე თავდასხმის ფაქტისადმი სასამართლოს რბილი დამოკიდებულება წარმოადგენს კრიტიკული მედიის მიმართ აგრესიის გაზრდის კიდევ ერთ საფრთხეს. სასჯელის უმთავრესი მიზანი ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია და სამართლიანობის აღდგენაა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოყენებული მინიმალური სასჯელი კი, ვერ პასუხობს ამ მიზნებს, ქმნის დაუსჯელობის განცდას და უფრო მეტად ახადისებს მედიის წარმომადგენელთა მიმართ ძალადობას.

**3. ივერი მეღაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე.წ. კარტოგრაფების) საქმე.** ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები აკვირდებიან საგარეო საქმეთა სამინისტროს მეგობრული ქვეყნების დეპარტამენტის, სასაზღვრო ურთიერთობათა სამსახურის ყოფილი უფროსის, ივერი მეღაშვილისა და შსს-ს სასაზღვრო პოლიციის სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი მთავარი ინსპექტორის, ნატალია ილიჩოვას სისხლის სამართლის საქმეს. მათ ბრალი წარდგინდი აქვთ სსკ-ის 308-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც გულისხმობს საქართველოს საწინააღმდეგო მოქმედებას, რომელიც მიმართულია უცხო ქვეყნისთვის საქართველოს მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის გადაცემისაკენ ან/და საქართველოს ტერიტორიიდან მისი ნაწილის გამოყოფისაკენ. 2021 წლის 28 იანვარს, პროკურატურის მიმართვის საფუძველზე, მოსამართლე ელვა კალიჩენკომ ბრადგებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა 20 000-20 000 ლარიანი გირაოს სანაცვლოდ შეუცვალა. ამასთან, სასამართლომ დააკმაყოფილა ბრადგებების მხარის შუამდგომლობაც ივერი მეღაშვილის თანამდებობიდან გადაყენების შესახებ. საქმე არსებითად განსახილველად მოსამართლე ნინო ნაჭყებიას გადაეცა. საქმეზე ამ ეტაპზე ბრადგებების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა მიმდინარეობს.

## **სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგები:**

ივერი მედაშვიდი და ნატალია ილიჩოვა 2020 წლის 7 ოქტომბერს, საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე დააკავეს. 2021 წლის 28 იანვარს, სასამართლო სხდომის პარალელურად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ებოში მედაშვიდისა და ილიჩოვას მხარდასაჭერად ოპოზიციისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები შეიკრიბნენ და კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ისინი უკანონოდ იყვნენ დაკავებულნი.

ამასთან, გირაოს თანხის შესავროვებლად, სამოქალაქო მოძრაობა „სინცხვილიას“ სოციალურ ქსელში ინფორმაცია გაავრცელა, რის შედეგადაც, გათავისუფლებულების დასახმარებლად წამოწყებული კამპანიის ფარგლებში, მოქალაქეების მიერ, 2 საათში გირაოს სრული თანხა – 40 000 ლარი სრულად შეგროვდა<sup>5</sup>.

## **საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში ბრადეების მხარის მოწმეების დაკითხვით გრძელდება.**

**4. გიორგი მუმღაძის საქმე** - სამოქალაქო აქტივისტს, გიორგი მუმღაძეს ბრადე ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353 მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რაც გულისხმობს - პოლიციის მუშაკის, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლას, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე - აშკარად უკანონო ქმედებისთვის მის იძულებას, ჩადენილს ძალადობით ან ძალადობის მუქარით. საქმე, ამ დრომდე, თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილება.

## **სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგები:**

2021 წლის თებერვლიდან 30 ნოემბრამდე, საქმეზე ჩატარდა 4 სასამართლო სხდომა.

სასამართლო სხდომაზე ბრადეების მხარეს სამართალდარღვევის ფაქტის დამადასტურებელი არანაირი დოკუმენტი არ წარმოუდგენია. დაცვის მხარე, შესაბამისად, ამტკიცებდა, რომ პოლიცია ვერ იმოქმედებდა კანონიერად იმ მოცემულობაში, როცა სამართალდარღვევა არ არსებობდა. შესაბამისად, დაკავებაც იყო უკანონო. სასამართლო პროცესზე სამართალდარღვევის ფაქტს მხოლოდ პოლიციელი მოწმეები ადასტურებდნენ, ხოლო წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურებოდა მუმღაძის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, დაცვის მხარემ იშუამდგომლა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით.

<sup>5</sup> იხ. სამოქალაქო მოძრაობა „სინცხვილიას“ განცხადება: <https://bit.ly/3BU18OI>

წინასასამართლო სხდომაზე სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტასთან დაკავშირებით. სასამართლოს განმარტებით, მტკიცებულებები არის ურთიერთშეთანხმებული და საქმეზე შეიძლება, გამოტანილი იყოს გამამტყუნებელი განაჩენი. ასევე განმარტა, რომ დაცვის მხარის შეფასება ფაქტთან დაკავშირებით, სცდება წინასასამართლო სხდომაზე შეფასებას და გარემოებები, არსებით განხილვის ეტაპზე მტკიცებულებათა გამოკვლევით უნდა შეფასდეს. მოსამართლის განცხადებით, ბრალდების დადგენილებაში არის მითითება, რომ ნაცვლად იმისა, გიორგი მუმლაძე დამორჩილებოდა პოლიციელებს, მან სწორედ ამის შემდეგ მიაყენა ფიზიკური დაზიანება მათ. შესაბამისად, საქმეზე ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, საჭიროა მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევა<sup>6</sup>. სასამართლო სხდომებზე მთავარ საკითხს ადმინისტრაციული დაკავების, შემდგომში კი, სისხლის სამართლის წესით დაკავების კანონიერების შეფასება წარმოადგენს<sup>7</sup>.

*აღამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, ბრალდებულის დანაშაულებრივი ქმედება ჩადენილი უნდა იყოს მაშინ, როცა სამართალდამცავი მოქმედებს სამართლებრივი საფუძვლით, კონსტიტუციურ ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში, პოლიცია სამართლებრივი საფუძვლით არ მოქმედებდა. ეს ქმედება (ქაღალტის იერსახის დამახინჯება) ადმინისტრაციული სამართალდარღვევა რომც ყოფილიყო, პოლიციას მისი დაკავების უფლება მაინც არ ჰქონდა. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს ადგენს მერიის ბედამხეველეობის სამსახური. პრაქტიკაშიც ასეა, როცა ასეთი სამართალდარღვევის ფაქტია, პოლიცია აფიქსირებს ფაქტს და ამის საფუძველზე მერიის ბედამხეველეობის სამსახური ადგენს შესაბამის აქტს. დაკავებაც ხდება სამართალდარღვევაზე და არა - პრევენციამდე. ამასთან, საქმეში არ არსებობს მასალა, რაც დაამტკიცებს, რომ მუმლაძე ჩადიოდა სამართალდარღვევას. პოლიცია მოქმედებდა პრევენციის ფარგლებში და არა ფაქტზე. ჩხრევის ოქმითაც დასტურდება, რომ მის ჩანთაში არ იყო პულკერიზატორი და არც თან ჰქონდა. დაკავების დროს არაპროპორციული ძალა იყო გამოყენებული და მუმლაძის ქმედება თავის ვათავისუფლებისთვის სრულიად დევტიმური იყო.*

**5. მაღხამ მაჩალიკაშვილის საქმე** - 2021 წლის 6 ივლისს მაღხამ მაჩალიკაშვილი პოლიციამ რუსთაველის გამზირზე აქციის მიმდინარეობისას დააკავა. ადვოკატის განცხადებით, მაჩალიკაშვილი იმყოფებოდა საპროტესტო აქციაზე - „თავისუფლებისთვის“ და გამოხატავდა პროტესტს. მეორე მხარეს მყოფმა ძაღლდობრივმა ჯგუფებმა მაღხამ მაჩალიკაშვილი

<sup>6</sup> აღამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში გიორგი მუმლაძის სისხლის სამართლის საქმეზე: 01.06.2021.

<sup>7</sup> აღამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში გიორგი მუმლაძის სისხლის სამართლის საქმეზე: 14.06.2021.

იცნეს, მიაყენეს სიტყვიერი შეურაცხყოფა და ფიზიკურადაც იწვედნენ მასზე - ცდილობდნენ ჯებირებს მიღმა გადასვლას და მას საფრთხეს უქმნიდნენ. მაღბამ მაჩალიკაშვილი პოლიციელებმა გაიყვანეს ტერიტორიიდან და როგორც შემდეგ გაირკვა - დააკავეს პოლიციის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის, რაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართადარღვევათა კოდექსის – 166-ე და 173-ე მუხებით. საქმის არსებითი განხილვის გადადების შუამდგომლობა 7 ივლისს დაცვის მხარემ დააყენა, საქმის მასალების გაცნობისა და დამატებითი მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. ამავე დღეს მაჩალიკაშვილი სასამართლო სხდომის დარბაზიდან გათავისუფლდა, რადგან ადმინისტრაციული სამართადარღვევისთვის დაკავებული პირისთვის განსაზღვრული 48-საათიანი ვადა ამოიწურა. საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე კობა ჩაგუნავა განიხილავდა.

### **სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგები:**

2021 წლის თებერვლიდან 30 ნოემბრამდე, საქმეზე 2 სასამართლო სხდომა ჩატარდა. სასამართლოს პირველ ინსტანციაში საქმე დასრულებულია.

ბრადღების მხარის მიერ წარმოდგენილი ყველა მოწმე პოლიციეელი იყო. მოწმე პოლიციელები ფაქტობრივ გარემოებებს აღწერდნენ არადამაჭრებლად, არათანმიმდევრულად და ერთმანეთისგან განსხვავებულად. გამოვიჩინა შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე მოწმე პოლიციეელი ხან ამტკიცებდა მაღბამ მაჩალიკაშვილის მხრიდან დაკავებისას წინააღმდეგობის გაწევის ფაქტს, ხან კი, აღნიშნავდა, რომ მას არანაირი წინააღმდეგობა არ გაუწევია.

ბრადღების მხარეს არ ჰქონდა ნეიტრალური/ობიექტური მტკიცებულებები. სასამართლო სხდომაზე მხოლოდ პოლიციის თანამშრომელთა ჩვენებები იყო წარმოდგენილი, რომლებიც, დიდი ადბათობით, იყვნენ სუბიექტურად დაინტერესებული პირები<sup>8</sup>.

რაც შეეხება დანის ქონის ფაქტს, მაჩალიკაშვილმა განაცხადა, რომ მე-4 წელია, კარავში ცხოვრობს და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით, საჭიროა, დანა ჰქონდეს, ედმენტარულად რამის გასაჭრელად. განმარტა, რომ აქვს პატარა დანა, რომელიც 6 ივლისსაც, დაკავებისას, ჯიბეში ჰქონდა. ადბათ, წინა დღეს (5 ივლისს), ძადლობრივი ჯუფების მიერ კარავების დარბევისას, მიწოდისას, ჯიბეში გაეხსნა და დასაკვეცად ამოიღო.

მიუხედავად დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა, რითაც მტკიცებოდა მაჩალიკაშვილის უდანაშაულობა, 2021 წლის 30 ივლისს,

<sup>8</sup> ადმინანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მაღბამ მაჩალიკაშვილის ადმინისტრაციული დაკავების საქმეზე: 23.07.2021.

თბილისის საქალაქო სასამართლომ გამოაცხადა განჩინების სარეზოლუციო ნაწილი. განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლიდან მიმართებით შეწყდა საქმე, მართალია შიდა ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად 166-ე მუხლის 1-ე და 174-ე მუხლის მე-4 ნაწილი და დაეკისრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით<sup>9</sup>.

**6. ბექა შაჰაშვილის, ზურაბ ბერძენიშვილის, შაატა ხარატიშვილისა და ტიტე გვედნიძის საქმე** - ადამიანის უფლებათა ცენტრი დააკვირდა 2021 წლის 3 ივნისს, გენერალურ პროკურატურასთან, ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებულ საპროტესტო აქციაზე დაკავებული ოთხი სამოქალაქო აქტივისტის - ბექა შაჰაშვილის, ზურაბ ბერძენიშვილის, შაატა ხარატიშვილისა და ტიტე გვედნიძის სასამართლო პროცესს. აქტივისტები დააკავეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე, რაც გულისხმობს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას. საქმეს იხილავდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დედა ცაგარეიშვილი. 2021 წლის 2 აგვისტოს გამოცხადდა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი. ბექა შაჰაშვილის მიმართ შეწყდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო. ტიტე გვედნიძე, შაატა ხარატიშვილი და ზურაბ ბერძენიშვილი ცნობილი იქნენ სამართალდამრღვევებად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში და ადმინისტრაციული სახელის სახით დაეღოთ ჯარიმა, 2000 ლარის ოდენობით.

**7. აკაკი ხუსკივაძის და აკაკი კობალაძის საქმე.** ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდება აკაკი ხუსკივაძისა და აკაკი კობალაძის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვა. ბრალდებულებს ბრალი ედებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 339-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 150-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 151-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენაში, რაც გულისხმობს: მოხელისათვის პირდაპირ მის სასარგებლოდ ფულის შეთავაზებას, რათა მან თანამდებობრივი უფლების განხორციელების და მოვალეობის შესრულებისას ქრთამის მიმცემის ან სხვა პირის სასარგებლოდ განახორციელოს რაიმე ქმედება; ასევე - ჭკუფურად ჩადენილი ჯანმრთელობის დამიანების მუქარას, როდესაც იმას, ვისაც ემუქრებიან, გაუჩნდა მუქარის განხორციელების საფუძველიანი შიში; ასევე - ქმედების თავისუფლების

<sup>9</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მალხაზ მართალიაშვილის ადმინისტრაციული დაკავების საქმეზე: 30.07.2021.

უკანონო შემლუფვას, ე.ი. მის ფსიქიკურ იძულებას, შეასრულოს მოქმედება, რომლის შესრულებისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა, ჩადენილი ჯგუფურად. დამატებით, ბრალდებულ აკაკი კობალაძეს ბრალად ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, რაც გულისხმობს საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმენასა და შენახვას. 2020 წლის 10 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაკავებულები გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. მათ გირაოს სახით 10 000 ლარის გადახდა დაეკისრა. საქმეს არსებითად იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი კერატიშვილი.

### **სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგები:**

სასამართლო სხდომებზე მიმდინარეობს ბრალდების მხარის მტკიცებულებათა გამოკვლევა. სასამართლოს წინაშე მოწმის სახით დაიკითხნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს მთავარი სამმართველოს გამომძიებელი და უფროსი გამომძიებელი. გამომძიებლებმა ისაუბრეს მათ მიერ ჩატარებულ საგამომძიებლო მოქმედებებზე, კერძოდ - პატაკის საფუძველზე ბინის ჩხრევისა და სხვა გადაუდებელ საგამომძიებლო მოქმედებებზე.

დაცვის მხარემ ერთ-ერთ მოწმეს დაუსვა კითხვა - ხომ არ წარმოადგენდა ჩხრევის ჩატარების საფუძველს აკაკი ხუსკივაძის საქმიანობა. კერძოდ, მისი ჩართულობა საარჩევნო გარემოში და ხელისუფლების მიერ არჩევნების გაყალბების სქემების გაშიფრვაში აქტიურობა. ამ კითხვამე გამომძიებელმა უპასუხა, რომ ჩხრევის საფუძველი იყო პატაკი<sup>10</sup>. დაცვის მხარე მიუთითებს, რომ ამ პატაკის საფუძველზე ჩატარებული ჩხრევა ხუსკივაძის პოლიტიკურ საქმიანობას უკავშირდება.

### **საქმის განხილვა გრძელდება თბილისის საქალაქო სასამართლოში.**

**8. სამოქალაქო აქტივისტების საქმე** - ადამიანის უფლებათა ცენტრი დააკვირდა 2021 წლის 16 იანვრის საპროტესტო აქციაზე დაკავებული 7 აქტივისტის (*ირაკლი ფავლეიშვილი, გივი ცინცაძე, ფარნავაზ გრიგოლია, ვანო მალაღაშვილი, ნიკოლოზ კვიციანი, ნიკოლოზ ნარსია და დავით დიღმედაშვილი*) სასამართლო პროცესს. აქტივისტები დააკავეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე, რაც გულისხმობს წვრილმან ხუდიგნობასა და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის ვანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას. სასამართლომ ადმინისტრაციული სამართალწარმოება 166-ე მუხლის ნაწილში შეწყვიტა, ხოლო 173-ე მუხლის ნაწილში აქტივისტები სამართალდამრღვევებად ცნო და თითოეულს 1200-ლარიანი ჯარიმა დააკისრა. საქმე განიხილა

<sup>10</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში აკაკი კობალაძისა და აკაკი ხუსკივაძის საქმეებზე: 28.06.2021.

მოსამართლე ნათია მერაბიშვილია.

**9. ბეჟან ღორთქიფანიძის საქმე** - საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ნაკრესის“ თანამშრომელს, ბეჟან ღორთქიფანიძეს ბრალი წარედგინა სსკ-ის 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას, ორგანიზებას ან მასში მონაწილეობას. პროცესის დასაწყისში ბეჟან ღორთქიფანიძე ბრალს არ აღიარებდა. ბრადეგბა უკავშირდება 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს. სავლელ ბიოლოგი და ველური ბუნების მკვლევარი ბეჟან ღორთქიფანიძე 2019 წლის 20 ივნისს დააკავეს. მას შეფარებული ჰქონდა 2-თვიანი წინასწარი პატიმრობა. ბრადეგბულს აღკვეთის ღონისძიების სახით 5000-ლარიანი გირაო ჰქონდა შეფარებული. საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებითად იხილაგდა მოსამართლე დავით მგელიაშვილი.

ბეჟან ღორთქიფანიძე ამნისტიის აქტის საფუძველზე გათავისუფლდა. კერძოდ, 2021 წლის 7 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტმა 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით, მმართველის პარტიის - „ქართული ოცნების“ მიერ მომზადებული „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტი მიიღო. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>11</sup> თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, სასჯელისგან და პირობითი მსჯავრისგან თავისუფლდება ყველა ის პირი, რომელთაც დანაშაული 2019 წლის 19-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით ჩაიღინა და ამნისტიის გავრცელებაზე უარი არ განუცხადებიათ. ის პირი კი, ვის მიმართაც ამნისტია გავრცელდება, ნასამართლობის არმქონედ ჩაითვლება.

**10. ბესიკ თამილიანის, ზურაბ ბუღალაშვილის, ცოტნე სოსელიას და ვახაბერ კუპრეიშვილის საქმე.** ბესიკ თამილიანს, ზურაბ ბუღალაშვილს, ცოტნე სოსელიას და ვახაბერ კუპრეიშვილს ბრალი წარედგინათ საქართველოს სსკ-ს 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს ჯგუფურ ძალადობაში მონაწილეობას, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა. საქმეზე პროკურატურასა და ბრადეგბულებს - ზურაბ ბუღალაშვილს, ცოტნე სოსელიასა და ვახაბერ კუპრეიშვილს შორის დაიღო საპროცესო შეთანხმება. 2020 წლის 23 მარტს ბესიკ თამილიანის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახე შეიცვალა 4000-ლარიანი გირაოს სანაცვლოდ. მან დატოვა პენიტენციური დაწესებულება. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ბესიკ თამილიანი ოპოზიციური ბლკის - „ენმ - ძალა ერთობაშია“ საარჩევნო სიით იყო საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატი. ბესიკ თამილიანის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის განხილვა

<sup>11</sup> იხ. საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“: <https://bit.ly/3ypvcOT>



თბილისის საქალაქო სასამართლოში კვლავ გრძელდება. იგი არ თანხმდება 2021 წლის 7 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტის მიერ 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით მიღებულ „ამნისტიის შესახებ“ კანონის გამოყენებას და აგრძელებს საკუთარი უფლებების დაცვას. სისხლის სამართლის საქმეს არსებითად განიხილავს მოსამართლე აღექვსანდრე იაშვილი.

**11. ნიკანორ მედიას საქმე** - პარლამენტის ყოფილ დეპუტატს, ნიკანორ მედიას ბრალი წარდგენილი აქვს საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილებით, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ორგანიზებას და მასში მონაწილეობას. თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე ეს საქმე უკავშირდება 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებს. 2021 წლის 17 თებერვალს სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა საქართველოს გენერალური პროკურორის, ირაკლი შოთაძის შუამდგომლობა ბრალდებულის მიმართ შეფარებული აღკვეთის ღონისძიების პატიმრობით შეცვლის თაობაზე. 2021 წლის 10 მაისს სასამართლომ, ასევე, დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახის უფრო მსუბუქი სახით შეცვლის თაობაზე. კერძოდ, ნიკანორ მედიას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიება, პატიმრობა შეიცვალა 40 000-ლარიანი გირაოთი. გირაოს თანხა გამოყო ევროპულმა ფონდმა დემოკრატიისთვის (EED) ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში. სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლე ნინო ჩახნაშვილის თავმჯდომარეობით გრძელდება.

**აღამიანის უფლებათა ცენტრმა ნიკანორ მედიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე მიმოიხილა დოკუმენტში - 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი<sup>12</sup>.**

### **სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგები:**

2021 წლის თებერვლიდან 30 ნოემბრამდე საქმეზე 20 სასამართლო სხდომა ჩატარდა<sup>13</sup>.

თითქმის ყველა სასამართლო სხდომამე დაცვის მხრიდან ისმოდა პოლიტიკური განცხადებები. ასევე, დაცვა ყურადღებას ამახვილებდა საქმის პოლიტიკურ მოტივებზე.

<sup>12</sup> იხ. „2019 წ. 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი ანალიზი“; აღამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წ.: <https://bit.ly/2XUIHFN>

<sup>13</sup> აღამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიშები ნიკანორ მედიას სისხლის სამართლის საქმეზე: 17.02.2021; 08.04.2021; 13.04.2021; 29.04.2021; 10.05.2021; 13.05.2021; 21.05.2021; 25.05.2021; 27.05.2021; 03.06.2021; 10.06.2021; 15.06.2021; 24.06.2021.

2021 წლის 13 აპრილს დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა საქმეზე ახალი მტკიცებულებების დართვის თაობაზე. კერძოდ, მხარე ითხოვდა ტელემედიამი გავრცელებული ირაკლი კობახიძის ინტერვიუს დართვას. ამ ინტერვიუში პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე საუბრობს 2021 წლის 17 თებერვალს 17:00 საათზე თანამედრობის პირებს შორის გამართულ დისკუსიაზე, ნიკანორ მედიას მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობის აღსრულებისათვის სხვადასხვა საშუალების გამოყენების თაობაზე.

სასამართლო პროცესზე ხშირად აქვს ადგილი სიტყვიერ დაპირისპირებას როგორც ბრალდებულსა და მოსამართლეს, ასევე, მოსამართლესა და ადვოკატებს შორის. მოსამართლე რამდენჯერმე შეეცადა, ბრალდებულისთვის და მისი ადვოკატებისთვის შეეზღუდა სიტყვის თქმის უფლება, როცა პოზიციის წარდგენა პოლიტიკური ხედვითა. თუმცა, ის ვერ ახერხებდა დაცვის მხარის ხმის გადაფარვას და ხშირად ვერ მართავდა პროცესს. ასევე, მოსამართლე ვერ უზრუნველყოფდა სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დაცვას, რისთვისაც მას აქვს კანონმდებლობით მინიჭებული კონკრეტული ბეგვებები. კერძოდ, სსსკ-ის 85-ე მუხლით განვიხილო პროცედურები.

სამოგადროების მაღალ ინტერესზე მითითებით, დაცვის მხარემ რამდენჯერმე დააყენა შუამდგომლობა პირდაპირი ტრანსდაცვიით პროცესის გაშუქების თაობაზე, რასაც სასამართლო არ აკმაყოფილებდა. ამასთან დაკავშირებით, დაცვის მხარე აღნიშნავდა, რომ ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს სასამართლოს არ სურდა, მიმდინარე მოვლენები სამოგადროებისთვის ცნობილი გამხდარიყო და ასევე, ჰქონდა ეჭვი, რომ მედიას მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახის - გირაოს პატიმრობით შეცვლის საკითხთან დაკავშირებით, მოსამართლეს უკვე მიღებული ჰქონდა გადაწყვეტილება, მაღალჩინოსნების მითითების თანახმად.

დაცვის მხარემ მოითხოვა, ასევე, შსს-ს ყოფილი თანამშრომლის, ივანე გულაშვილის ინტერვიუს დართვა საქმეზე. ინტერვიუში გულაშვილი აცხადებს, რომ შს მინისტრის მოადგილის ბრძანებით განადგურდა საქართველოს პარლამენტის წინ და გვერდითა ფასადზე არსებული ვიდეოკამერის ჩანაწერები. ამ ჩანაწერების გამოთხოვაზე დაცვის მხარეს უარი ეთქვა. ასევე, ამ ჩანაწერებს არ ფლობს ბრალდების მხარე, ვინაიდან ისინი განადგურდა ბრალდების მხარის დანაშაულის ადგილზე მისვლამდე, რაც სახალხო დამცველის 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული ანგარიშითაც მტკიცდება. ***დაცვის მხარე აპელირებს საქმეში მტკიცებულებათა განზრახ განადგურებაზე, მაღალჩინოსანთა, ძალადგანი სტრუქტურების ჩართულობასა და დაინტერესებაზე.***

ადვოკატების განცხადებით, გამომდინარე იქედან, რომ ყველა ეს

ფაქტობრივი გარემოება ცნობილი გახდა 2021 წლის 21 მარტს, დაცვის მხარეში ვერ უზრუნველყო ამ მტკიცებულებათა არსებით განხილვამდე წარდგენა. ამიტომ სასამართლო სხდომაზე, სსსკ-ის 93-ე და 233-ე მუხლების საფუძველზე, იშუამდგომელს ირაკლი კობახიძისა და ივანე გულაშვილის ინტერვიუების საქმეზე ახალი მტკიცებულების სახით დართვისა და დასაკითხ მონშეთა სიაში მათი შეყვანის თაობაზე. ეს შუამდგომლობა სასამართლომ არ დააკმაყოფილა.

სასამართლო სხდომის მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ დღემდე, 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეზე დაკითხული ბრალდების მხარის მონშეთა ჩვენებები ერთმნიშვნელოვნად ვერ ადასტურებენ ნიკანორ მედიას ბრალეულობას.

სასამართლო პროცესებზე მეტ-ნაკლებად დაცულია მხარეთა თანასწორობისა და შეჭიბველობის პრინციპი. მხარეებს აქვთ შესაძლებლობა, თავისუფლად დააყენონ შუამდგომლობები და გამოხატონ თავიანთი მოსაზრება მოწინააღმდეგე მხარის შუამდგომლობებზე. თუმცა, პრობლემა დაცვის მხარის შუამდგომლობების განხილვისა და დაკმაყოფილების საკითხები, რადგან რიც შემთხვევებში, უარის თქმის საფუძველები აბსტრაქტული და დაუსაბუთებელია.

**12. ნიკანორ მედიას და ზურაბ ადვიშვილის საქმე.** სასამართლო პროცესი მიმდინარეობს თბილისის სააპელაციო სასამართლოში. ნიკანორ მედიას, იუსტიციის ყოფილ მინისტრ ზურაბ ადვიშვილთან ერთად, ბრალი წარდგენილი აქვს სსსკ-ის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. აღსანიშნავია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში ნიკანორ მედიას გამართდა სსსკ-ის 205<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებაში, რაც გულისხმობს ქონების დამადვას მოჩვენებით ან თვალთმაქცური გარიგებით. საქმეს სააპელაციო სასამართლოში იხილავს ვეფხია ღომიძე.

**13. მიხეილ სააკაშვილისა და თეიმურაზ ჯანაშიას საქმე -** საქართველოს ექსპრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილსა და სახელმწიფო დაცვის ყოფილ უფროსს, თეიმურაზ ჯანაშიას ბრალი წარდგენილი აქვთ სსსკ-ის 182-ე მუხლის „ბ“ პუნქტით, რაც გულისხმობს საბიუჯეტო თანხების დიდი ოდენობით (8 837 461 ლარი) გაფლანგვას. პროკურატურის ინფორმაციით, მიხეილ სააკაშვილსა და თეიმურაზ ჯანაშიას შორის უკვე არსებული შეთანხმებისა და პრეზიდენტის მიერ გაცემული დავალების შესაბამისად, 2009 წლის სექტემბრიდან 2013 წლის თებერვლის ჩათვლით, საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტის მიერ მისთვის და სხვადასხვა ფიზიკური პირებისათვის საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ გაწეული მომსახურებისთვის, საიდუმლო ფორმით, გაიფლანგა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 8 837 461 ლარი. საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილი განიხილავს.

**მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების შეფასება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში<sup>14</sup>.**

**სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგები:**

სასამართლო სხდომებზე მიმდინარეობდა ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევა. ასევე, 2021 წლის 2 თებერვალს დაცვის მხარემ აღკვეთის ღონისძიების საკითხის განხილვაზე იშუამდგომლა. დაცვის მხარემ განმარტა, რომ საქმე პოლიტიკურად მოტივირებული იყო. მისივე მტკიცებით, ცალსახად ნათელია, რომ სააკაშვილის მიმართ გამოყენებული პატიმრობა არ შეესაბამებოდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საფუძვლებს და მოითხოვა პატიმრობის გაუქმება. რაც შეეხება თემურ ჭანაშიას, იგი წინასწარ პატიმრობაში არ იმყოფება.

სასამართლომ, შესაბამისი სამართლებრივი მსჯელობის გარეშე, შეიძლება ითქვას, შაბდონური გადაწყვეტილებით, ძაღაში დატოვა აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობა. მოსამართლემ მხოლოდ ის განმარტა, რომ არ ანსებობდა რაიმე ახალი გარემოება, ფორმალური და ფაქტობრივი საფუძვლები, რაზე დაყრდნობითაც შეიძლებოდა მსჯელობა პატიმრობის შეცვლის ან გაუქმების შესახებ.

2021 წლის 30 მარტს სასამართლო სხდომაზე კიდევ ერთხელ გადაიხედა სააკაშვილის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული პატიმრობის საკითხი, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე. თუმცა, მოსამართლემ აღკვეთის ღონისძიების ფორმა - პატიმრობა კვლავ ძაღაში დატოვა, იმ საფუძველით, რომ მოსაკვლევი იყო მოცულბითი მტკიცებულებები, დასაკითხი იყო უამრავი მონში და შესაძლა, ბრალდებულებს ზეგავდენა მოეხდინათ მათზე<sup>15</sup>.

*ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, მოსამართლის ეს არგუმენტი ვერ ამტკიცებდა აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების საფუძველებს და არ ემსახურებოდა დევიტიმურ მიზანს, რადგან ბრალდებულები, მიუხედავად მათ მიმართ გამოყენებული პატიმრობის ღონისძიებისა, იმყოფებოდნენ თავისუფლებაში და დოგიკურად, ეს რისკები ამ ეტაპზე არსებობს.*

ამ 2021 წლის 15 ნოემბერს გამართულ სხდომაზე სასამართლომ განიხილა

---

<sup>14</sup> იხ. გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების შეფასება მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში, ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2021 წ.: <https://bit.ly/3IQ4qeA>

<sup>15</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის საქმეებზე: 30.03.2021.

მხარეების შუამდგომლობები და განცხადებები, მათ შორის - მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესზე ეტაპირების საკითხი, რაც არ დააკმაყოფილა. სასამართლოს განცხადებით, მათ მიმართეს სახელმწიფო სპეციალურ სამსახურს, რომლის განმარტებით, მიხეილ სააკაშვილის უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ვერ მოხერხდა მისი სასამართლო პროცესზე დასწრების უზრუნველყოფა.

**14. მიხეილ თოღუას (მიხაილოს) საქმე** - 2013 წლის 25 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის საფუძველზე მიხეილ თოღუას მისჯილი ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით. მას მსჯავრი დაედო ნარკოტიკული დანაშაულისთვის, კერძოდ - ე.წ. კვლური ნარკოტიკის შეძენის, შენახვისა და მისი მოხმარებისათვის. 2019 წლის 11 ოქტომბერს, მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთა შეეცვალა შინაპატიმრობით, 2 წლისა და 11 თვის ვადით. მას დაევალა საცხოვრებელ ადგილზე ყოფნა 21:00 საათიდან 08:00 საათამდე. 2020 წლის 11 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა თბილისის პრობაციის ბიუროს წარდგინება, მიხეილ თოღუას მიმართ გამოყენებული შინაპატიმრობის გაუქმებისა და საპატიმრო სასჯელის გამოყენების თაობაზე იმ მოტივით, რომ მან დაარღვია შინაპატიმრობის პირობები და 17 ოქტომბერს 22:00 საათზე დაუკრა პარტია „გირჩის“ მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე. მოსამართლის გადაწყვეტილებით, პრობაციის ბიუროს წარდგინება თავისუფლების აღკვეთის სასაჯელის სახედ გამოყენებასთან დაკავშირებით არ დაკმაყოფილდა. პრობაციის ბიურომ სასამართლო სხდომაზე წარმოადგინა, ასევე, აღტერნატიული მოთხოვნა, რაც მოსამართლემ დააკმაყოფილა და მიხეილ თოღუას დაეკისრა შინ ყოფნის ვადებულება 19:00 საათიდან 08:00 საათამდე, ნაცვლად 21:00-08:00 საათის პერიოდისა.

**15. ნოდარ რუხაძის საქმე** - ადამიანის უფლებათა ცენტრი დააკვირდა 23 თებერვალს პარლამენტთან დაკავებული მოძრაობა „სირცხვილიას“ აქტივისტის, ნოდარ რუხაძის ადმინისტრაციული საქმის სასამართლო სხდომას. სამართალდამცავებმა იგი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე დააკავეს. მოსამართლემ ნოდარ რუხაძე სამართალდამრღვევად ცნო და სახდელის ზომად 2000-ლარიანი ჯარიმა განუსაზღვრა. საქმე ზემდგომ ინსტანციაში არ გასაჩივრებულა.

**სასამართლო სხდომის დაკვირვების შედეგები:**

2021 წლის თებერვლიდან 30 ნოემბრამდე, საქმეზე ჩატარდა 1 სასამართლო სხდომა.

სასამართლო სხდომაზე ბრადების მხარემ ისაუბრა ნოდარ რუხაძის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის თაობაზე. ახსნა-განმარტება ზედპირული და

ზოგადი იყო. მხარემ ვერ დაასაბუთა, კონკრეტულად რით გამოიხატა სამართალდარღვევა, რატომ იყო დაკავება აუცილებელი საშუალება სამართალდარღვევის აღსაკვეთად და იყო თუ არა პროპორციული ძალა დაკავებულის მიმართ გამოყენებული (რუხადის დაკავების პროცესში მონაწილეობდა 7 პოლიციელი).

შსს-ს წარმომადგენლები იმეორებდნენ, რომ ნოდარ რუხაძე იდგა პარლამენტის გვერდითა შესასვლელის ჭიშკართან, საიდანაც მუდმივად შედიოდნენ და გამოდიოდნენ მანქანები იმ დღეს პარლამენტში მიმდინარე „რალაც ლონისძიების“ გამო. სასამართლო სხდომაზე, წარმომადგენლები განმარტავდნენ, რომ ნოდარ რუხაძე, მათი მისამართით იძახდა „მონას“, რაც მათთვის შეურაცხმყოფელი იყო. თუმცა, მოსამართლის თხოვნისას ნათლად ვერ განმარტეს ამ ფაქტის სამართალდარღვევის შინაარსი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლთან ვაგშირში. ვიდეოში ნათლად ჩანს, რომ ნოდარ რუხაძე პოლიციელთა მისამართით „მონას“ არ იძახდა. პოლიციის წარმომადგენლებმა ამის შემდეგ განმარტეს, რომ რუხაძე მათ მანქანაში ეძახდა მონებს, მაგრამ ამ ფაქტის მტკიცებულება სხდომაზე ვერ წარმოადგინეს.

*ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, თუნდაც რეალური ყოფილიყო პოლიციელების მოლოდინი, რომ ნოდარ რუხაძე პარლამენტის ჭიშკარში მანქანის შესვლის ან გამოსვლისას არ დატოვებდა ტერიტორიას, მისი დაკავების საჭიროება მაინც ვერ საბუთდება. კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა (ტერიტორიის დატოვება, გადანაცვლება) იმთავითვე არ წარმოშობს პირის დაკავების აუცილებლობას.*

*პოლიციის წარმომადგენლები ვერ ასაბუთებდნენ, რა საფრთხის გამო, რის აღსაკვეთად გახდა საჭირო დაკავება და რატომ არ იყო საკმარისი ნოდარ რუხაძის უბრალოდ გვერდზე განევა იმწუთიერად, როდესაც პარლამენტის ჭიშკარში მანქანა ან შემოვიდოდა, ან გავიძლოდა. რატომ არ შეეძლო შვიდ პოლიციელს, დაერეგულირებინა ერთი მანქანის ადგილზე თუნდაც შეყოვნება და ნოდარ რუხაძის ჭიშკრიდან ორი მეტრის დაშორებით გაყვანა, თუკი საფრთხე შეექმნებოდა მის ან მანქანაში მყოფების ჯანმრთელობას. ან, თუ სხვა საფრთხე და აუცილებლობა არსებობდა მისი ადგილიდან გარიდების, დაკავების, რა იყო ეს საფრთხე? აგრეთვე, ვერ დასაბუთდა „ლონისძიებაზე წესრიგის დაცვა“ რატომ იყო აღმატებული ინტერესი ერთი პირის მიერ გამოხატვის თავისუფლების განხორციელებაზე.*

*რაც შეეხება იმ ფაქტს, თუ რატომ აკავებდა მას 7 ადამიანი, მიუთითებს, რომ რუხაძე წინააღმდეგობას უწევდა. ასევე, დასასაბუთებელი იყო, მიუხედავად წინააღმდეგობისა, რა რისკი არსებობდა ნოდარ რუხაძის მხრიდან, პოლიციელების მიერ ძალის გამოუყენებლობის შემთხვევაში, რას შეექმნებოდა*

*საფრთხე და რატომ იყო ამ საფრთხის დაძლევა უპირატესი<sup>16</sup>.*

**16.გიორგი უგულავას საქმე (ე.წ. აეროპორტის საქმე).** პროკურატურის 2019 წლის 11 დეკემბრის დადგენილებით, ქალაქ თბილისის ყოფილ მერს, გიორგი უგულავას ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. ბრადღების ვერსიით, გიორგი უგულავამ ბ. გ.-ს მიაყენა ფიზიკური დაზიანება. დაცვის მხარე კი აცხადებს, რომ ბ. გ. პირიქით - პროვოკაციულად თავს დაესხა „ვეროპული საქართველოს“ ღიღერებს - გიორგი უგულავას და გიორგი გაბაშვილს. დაახლოებით ერთი წლის თავზე, 2021 წლის 3 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ ბადრი კოჭლამაზაშვილმა საქმის არსებითი განხილვა დაიწყო.

### **სასამართლო სხდომების დაკვირვების შედეგები:**

2021 წლის თებერვლიდან 30 ნოემბრამდე, საქმეზე 3 სასამართლო სხდომა ჩატარდა.

2021 წლის 3 ივნისს დაიწყო გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვა და დღემდე გრძელდება. მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ მხარეებს შორის მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმებაზე არ მიმდინარეობს. ბრადღების მხარემ აღნიშნა, რომ ამ მუხლზე (სსკ-ის 126-ე მუხლი) ვრცელდებოდა ამნისტია, თუ დაზარალებულის თანხმობა იქნება საქმეში. გიორგი უგულავა აცხადებს, რომ უარს ამბობს ამნისტიაზე და ბოლომდე იბრძოლებს სასამართლოს გზით სიამართლის დასამტკიცებლად, რადგან აეროპორტში მასზე თავდასხმა იყო ორგანიზებული სუს-ის მიერ, ბიძინა ივანიშვილის დაკვეთით.

ბრადღების მხარემ კვლავ დააფიქსირა პოზიცია, რომ მნიშვნელოვანია დაზარალებულის პოზიციის მოსმენა და ამნისტიის ფარგლებში მოქცევა, მიუხედავად იმისა, ბრადღებული ვთანხმება თუ არა ამნისტიის გამოყენებას. მოსამართლემ განმარტა, რომ ამნისტია ვერ გავრცელდებოდა საქმეზე და სისხლის სამართლებრივი დევნა ვერ შეწყდებოდა, თუ საქმეში არ იქნებოდა ორივე მხარის თანხმობა.

სასამართლო სხდომებზე მიმდინარეობს დაზარალებულების, მოწმეებისა და ექსპერტების დაკითხვა.

**17.გიორგი უგულავას საქმე (ე.წ. თბილისის განვითარების ფონდის საქმე).** საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თბილისის ყოფილი მერი, „ვეროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ღიღერი, გიორგი უგულავა დამნაშავედ

---

<sup>16</sup> აღამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიში ნოდარ რუხახის ადმინისტრაციული დაკავების საქმეზე: 23.02.2021.

ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ღ“ და მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რაც გულისხმობს სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით სხვისი ნივთის ან ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო მითვისებას ან გაფლანგვას. უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 10 თებერვლის ამ განაჩენით, გიორგი უგულავას 3 წლით, 2 თვით და 8 დღით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. იგი საპატიმროდან 2020 წლის 15 მაისს საქართველოს პრეზიდენტის შეწყობების აქტის საფუძველზე გათავისუფლდა. უზენაეს სასამართლოში უგულავას საქმე ყოფილი გენერალური პროკურორის, შადვა თაღუმაძის თავმჯდომარეობით განიხილებოდა.

**18. გიორგი უგულავასა და ალექსანდრე გოგობიას საქმე.** ქადაქ თბილისის ყოფილი მერის, გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის ეს საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებითი განხილვის ეტაპზეა. ბრალდებულებს პროკურატურა სსკ-ის 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავება, რაც გულისხმობს უკანონო შემოსავლების დეკლარაციას (ფურის გათეთრება). ამასთან, უგულავას სახელმწიფო ბრალდება ამავგე საქმეში „სითი პარკის“ ეპიზოდზე სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას, ხოლო ე.წ. მარნეულის ეპიზოდზე ჯგუფური მოქმედების ორგანიზებასა და იძუებასაც ედავება. საქმეს იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ვადერიან ბუგინაშვილი. საანგარიშო პერიოდში სასამართლო სხდომები არ ჩატარებულა.

**მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება<sup>17</sup>.**

გიორგი უგულავას საქმეში იდენტიფიცირებულია მძიმე დარღვევები: კერძოდ, დაირღვა საკვსააციო საჩივრის განხილვის 6-თვიანი ვადა; არ მოხდა საქმის განმხილველი ერთ-ერთი მოსამართლის - შადვა თაღუმაძის აცილება, რომელიც მანამდე სასამართლოში საქმის განხილვისას მთავარი ბრალდებელი (გენერალური პროკურორი) იყო. დაცვის მხარის წარმომადგენლები მიუთითებდნენ, რომ არსებობდა მოსამართლის აცილების საფუძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით (რაც გულისხმობს შემდეგს: მოსამართლე ვერ მიიღებს მონაწილეობას სისხლის სამართლის პროცესში თუ არსებობს სხვა გარემოება, რომელიც სავჭვოს ხდის მის ობიექტურობასა და მიუკერძოებლობას). თუმცა, დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა; 13 დღეში იქნა შესწავლილი მრავალტომიანი საქმე და განაჩენი გამოტანილი; საკვსააციო სასამართლო

<sup>17</sup> იხ. „გიორგი უგულავას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წ.: <https://bit.ly/33SgZxh>



საქმე ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა, როცა მასზე განსაკუთრებით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა სავარაუდო პოლიტიკური მოტივების გამო; ამასთან, არსებობს შეჩვენებითი სამართლის სხვა ნიშნები.

**19.ირაკლი ოქრუაშვილის და ზურაბ ადვიშვილის საქმე - ე.წ. ბუტა რობაქიძის საქმე.** ირაკლი ოქრუაშვილს და ზურაბ ადვიშვილს ბრალი წარდგენილი აქვთ სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას. საქმე ეხება 2004 წლის 24 ნოემბერს თბილისში, დიდუბის პანთეონთან მომხდარ შემთხვევას, რა დროსაც საპატრულო პოლიციის პატრულმა ინსპექტორებმა გააჩერეს BMW-ს მარკის ავტომანქანა, მძღოლით და ხუთი მგზავრით. მათი შეჩვენებისა და პირადი შემოწმებისას პატრულ-ინსპექტორ გრიგორ ბაშაღვიშვილს შემთხვევით გაუვარდა ტყვია ტაბელური ცეცხლსასროლი იარაღიდან და მარცხენა ილიის არეში მძიმედ დაჭრა ავტომანქანიდან გადმოსული მგზავრი - ამირან (ბუტა) რობაქიძე, რომელიც ადგილზევე გარდაიცვალა. ბრალდების დადგენილებით, ამ ფაქტზე ინფორმაცია იმავე ღამით მიიღო შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა, რომელმაც შემთხვევის ადგილზე მისულ შსს-ს მაღალჩინოსნებს დაავალა, რომ „გადაერჩინათ საპატრულო პოლიციის იმიჯი“ და ფაქტისთვის მიეცათ შეიარაღებული დაჯგუფების მიერ პოლიციელებზე თავდასხმის სახე. ბრალდების შესახებ დადგენილებით, საქართველოს იმჟამინდელი გენერალური პროკურორის, ზურაბ ადვიშვილის დავალებით, გამოძიება წარიმართა სამართლებრივად არასწორი მიმართულებით, რაც გამოიხატა გაყალბებული მტკიცებულებების საპროცესო წესით დამაგრებასა და შსს-ს მაღალჩინოსნების მიერ შემუშავებული ვერსიის გამყარებაში.

საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე დამა ჩხიკვაძემ 2021 წლის 9 ივნისს, რამდენიმეთვიანი პაუზის შემდეგ, განაახლა. საქალაქო სასამართლოში სხდომები გრძელდება ბრალდების მხარის მტკიცებულების გამოკვლევით. საანგარიშო პერიოდში საქმეზე 2 სასამართლო სხდომა ჩატარდა.

2019 წ. 19 ნოემბერს, ირაკლი ოქრუაშვილს ახალი ბრალდება (ე.წ. ამირან (ბუტა) რობაქიძის საქმე) პენიტენციურ დაწესებულებაში წარედგინა. საქართველოს პროკურატურა ოქრუაშვილს 2004 წელს მისი შინაგან საქმეთა მინისტრობის დროს მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავება<sup>18</sup>. ბრალდების წარდგენა სისხლისსამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის 15-წლიანი ვადის გასვლამდე რამდენიმე დღით ადრე მოხდა. სახელმწიფო ბრალდებამ სისხლის სამართლის კოდექსის ის რედაქცია გამოიყენა, რომელიც 2004 წლის 11 ნოემბრის შემდეგ,

<sup>18</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება: <https://bit.ly/2M3rAuL>

ყველაზე მეტად აუარესებს ბრადებულის მდგომარეობას<sup>19</sup>.

**20.ირაკლი ოქრუაშვილის საქმე.** პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ დიდერს, ირაკლი ოქრუაშვილს ბრალი წარედგინა 2019 წ. 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეზე, სსკ-ის 225-ე მუხლით, რაც გულისხმობს ჭკუფური ძალადობის ორგანიზებას, ხელმძღვანელობას ან მასში მონაწილეობას. 2020 წლის 13 აპრილის განაჩენით მას 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა დანაშაულში მონაწილეობის ბრადებით. პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე ოქრუაშვილმა, ისევე, როგორც გიორგი უგულავამ, პენიტენციური დაწესებულება 2020 წლის 15 მაისს დატოვა. შეწყალების მიუხედავად, ოქრუაშვილმა განაჩენი თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, სადაც საქმის განხილვა ჯერ კიდევ არ დაწყებულა. საქმეს სააპელაციო სასამართლოში მოსამართლე ვფეხვია ღომიძე განიხილავს.

**მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება<sup>20</sup>.**

2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ საქმეში არაერთი სამართლებრივი პრობლემა გამოიკვეთა. გამამტყუნებელი განაჩენი დაუყრდნო მხოლოდ 4 პოლიციელი მოწმის ჩვენებას. ნეიტრალური მტკიცებულებების სახით კი, სასამართლო პროცესზე წარმოდგენილი იყო ტერგოვმანიებიდან გამოთხოვილი ვიდეორჩანაწერები და სამართლებრივად პრობლემური ჰაბიტუსკოპიური ექსპერტიზის დასკვნები. სასამართლომ გვერდი აუარა ნორმის თავისებურებას და დანაშაულებრივი ქმედების ინდივიდუალური ნიშნების იდენტიფიცირებისა და შეფასების გარეშე, ბრადებულის ქმედება ძალადობად დააკვალიფიცირა, როცა სსკ-ის 225-ე მუხლის მიზნებისთვის „ძალადობა“ უფრო მეტი ინტენსივობის ფიზიკურ ზემოქმედებად უნდა განიშარტოს, ვიდრე სხვა ჩვეულებრივ პირობებში.

ამასთან, იმ უაზრავი ადამიანიდან, ვისთან ერთადაც ირაკლი ოქრუაშვილი „ჭკუფურ ძალადობაში“ მონაწილეობდა, სამართალდამცავებმა მხოლოდ ოქრუაშვილი შეარჩიეს ბრადებულებად და დააკავეს. შესაბამისად, მხოლოდ მის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, მიუხედავად იმისა, რომ მის გარშემო მყოფი აქციის სხვა მონაწილეების იდენტიფიცირებაც შესაძლებელი იყო. მსგავსი მიდგომით ირაკლი ოქრუაშვილის სისხლის სამართლის წესით დევნა, შეიძლება, პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციადაც შეფასდეს. ირაკლი ოქრუაშვილის დაპატიმრებამდე რამდენიმე დღით ადრე, სავარაუდო პოლიტიკური

<sup>19</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 2004 წლის 11 ნოემბრის რედაქციით.

<sup>20</sup> იხ. „ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 წ.: <https://bit.ly/31NEpka>

მოტივით, დააკავეს მისი პირადი მძღოლი და ოჯახის ახლობელი, კობა კოშაძე.

**21. კობა კოშაძის საქმე** - პარტია „გამარჯვებული საქართველოს“ დიდი ბიზნის, ირაკლი ოქრუაშვილის დაცვის წევრს, კობა კოშაძეს ბრალი წარედგინა სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში, რაც გულისხმობს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შექმნას, შენახვას ან ტარებას. მას შემდეგ, რაც პროკურატურამ სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეცვლის შუამდგომლობით მიმართა, კობა კოშაძის მიმართ სასამართლომ გააუქმა აღკვეთის ღონისძიების სახედ გამოყენებული პატიმრობა და ბრადებულს შეეფარდა გირაო 5 000 ლარის ოდენობით. კობა კოშაძე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. საქმის არსებითი განხილვის სხდომა 1 ნებზე შეტია, არ ჩანიშნულა.

**აღმიანის უფლებათა ცენტრმა კობა კოშაძის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე მიმოიხილა ელკუმენტში - ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება<sup>21</sup>.** ამ საქმეში არაერთი სამართლებრივი პრობლემა იდენტიფიცირებული.

**22. ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან დაკავებული მოქალაქეების საქმე.** აღმიანის უფლებათა ცენტრი დააკვირდა 2020 წლის 4 ნოემბერს ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან გამართულ საპროტესტო აქციაზე საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე დაკავებული 7 პირის ადმინისტრაციული პროცესს. მოსამართლის გადაწყვეტილებით, 7 დაკავებულად მხოლოდ ერთის მიმართ შეწყდა სამართალწარმოება. 3 პირი კოდექსის მხოლოდ 173-ე, 3 კი ორივე - 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედებისთვის ცნობილ იქნენ სამართალდამრღვევებად. ერთს სახდელის ზომად 5 ელვ-ლამით ადმინისტრაციული პატიმრობა, დანარჩენ 5 პირს კი 3 ელვ-ლამის ვადით პატიმრობა განესაზღვრათ.

### **სასამართლო სხდომებზე დაკვირვების შედეგები:**

2021 წლის თებერვლიდან 30 ნოემბრამდე, საქმეზე ჩატარდა 4 სასამართლო სხდომა<sup>22</sup>.

სასამართლო სხდომებზე საპატრულო პოლიციის თანამშრომლები თავიანთ ჩვენებაში აფიქსირებდნენ, რომ სამოქალაქო ატივისტები იგინებოდნენ, როგორც მათი, ასევე, მთავრობის წარმომადგენლების

<sup>21</sup> იხ. „ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი შეფასება“; აღმიანის უფლებათა ცენტრი. 2020 წ.: <https://bit.ly/31NEpka>

<sup>22</sup> აღმიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის სასამართლო სხდომის მონიტორინგის ანგარიშები ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის შენობასთან დაკავებული მოქალაქეების საქმეზე: 11.03.2021; 19.03.2021; 02.04.2021; 29.06.2021.

მისამართით. ასევე, ცდილობდნენ გზის გადაკვეტვას, რისი უფლებაც არ ჰქონდათ. ამიტომ ისინი დააკავეს პოლიციელთა კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობისათვის.

ვიდეორჩანაწერის გამოკვლევისას, რომლის ხანგრძლივობა 55 წუთი იყო, სასამართლო მონიტორის მიერ დაფიქსირდა უნდაწერი სიტყვების (გინება) ორჯერ გამოყენება. ასევე, მოსამართლემ გამოიკვლია სხვა ვიდეომტკიცებულებებიც, სადაც ასახული იყო სავარაუდო შეურაცხყოფის ფაქტებიც. თუმცა, შეურაცხყოფიერი სიტყვების წარმომთქმელი პირის იდენტიფიცირება წარმოდგენილ ვიდეოში შეუძლებელი იყო. შესაბამისად, პოლიციის მიერ წარმოდგენილი ვიდეორჩანაწერით არ დადასტურებულა, რომ სამოქალაქო აქტივისტები იგინებოდნენ მათი მიმართულებით.

დამატებით, ვიდეორჩანაწერში არ ფიქსირებულა რამდენიმე აქტივისტის დაკავების კადრი, რასაც შსს-ს წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ. ხიდგადი იყო რამდენიმე პირის დაკავება და საპატრულო მანქანაში მოთავსება. მანქანაში მოთავსების დროს სამოქალაქო აქტივისტებისადმი მოპყრობა და მათ მიერ გამოყენებული ძალა, არ იყო პროპორციული - პოლიციელთა რაოდენობა აღემატებოდა დასაკავებელ პირთა რაოდენობას.

**23. დაშა ჩხარტიშვილის საქმე.** 2020 წლის 20 ივნისს თბილისის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად ცნო ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, დაშა ჩხარტიშვილი - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის საფუძველზე და მას ჯარიმის სახით დააკისრა 3500 ლარის გადახდა. მოსამართლე მანუჩარ ცაყუამ გადაწყვეტილება სამ სასამართლო სხდომაში მიიღო. თავის მხრივ, ჩხარტიშვილმა გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა, მაგრამ საჩივრის მიღებაზე მას უარი ეთქვა.

**24. გიორგი ჯავახიშვილისა და თორნიკე დათაშვილის საქმე.** გიორგი ჯავახიშვილი და თორნიკე დათაშვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო სსკ-ის 225-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, რაც გულისხმობს ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობას, ორგანიზებას ან მასში მონაწილეობას. მოცემული საქმე განიხილებოდა 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებულ ირაკლი ოქრუაშვილის საქმესთან ერთად, მაგრამ ჯავახიშვილისა და დათაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო და ისინი მადევე გათავისუფლდნენ მას შემდეგ, რაც საპროცესო შეთანხმება გაუფორმდათ.

**25. მიხეილ სააკაშვილის, ივანე მერაბიშვილის, ზურაბ ადგიშვილის, დავით კვიციანიშვილისა და გივი უგუდავას სს საქმე** სასამართლოს პირველ ინსტანციაში განიხილება, სადაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს ბრალდების მხარის წერილობითი მტკიცებულებების გამოკვლევა. საქმე ეხება 2007 წ. 7 ნოემბერს

მომიტინგეთა მასობრივად დარბევას, ტელეკომპანია „იმედი“ შეჭრას და მის „ხელში ჩაგდებას“.

2021 წლის 10 ნოემბერს, 7 ნოემბრის საქმეზე მიხეილ სააკაშვილისთვის შეფარებული აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა გაუქმდა. სასამართლომ ამ ეტაპზე ჩათვალა, რომ აღარ იყო საჭირო პატიმრობის გამოყენების საჭიროება. თუმცა, რადგან მიხეილ სააკაშვილი ამავდროულად მსჯავრდებულია ორ სხვა სისხლის სამართლის საქმეზე სამივე ინსტანციის სასამართლოს მიხრიდან და, შესაბამისად, მისჯილი აქვს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 7 ნოემბრის საქმეზე პატიმრობის გაუქმება არ ცვლის ფაქტობრივ მოცემულობას, რადგან იმ საქმეებზე, რომელზეც მიხეილ სააკაშვილი მსჯავრდებულია, იგი გააგრძელებს სასჯელის მოხდას შესაბამის პენიტენციურ დაწესებულებაში.

დაცვის მხარე აღკვეთის გადახედვას არ ესწრებოდა - ადვოკატებმა პროტესტის ნიშნად დატოვეს დარბაზი, ვინაიდან სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა და სასამართლომ, ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევით, არ უზრუნველყვეს ბრადებულის, მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესზე დასწრება.

ამ საქმეზე, მიხეილ სააკაშვილის გარდა, ბრალი წარდგენილი აქვთ იმ პერიოდის მაღალჩინოსნებს: ივანე მერაბიშვილს, ზურაბ ადვიშვილს, დავით კვიციანიშვილსა და გიორგი უგუდავას. საქმეს, მისი სირთულიდან გამომდინარე, იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობა, მოსამართლე ნინო ელვიშვილის თავმჯდომარეობით.

**26. გიორგი რურუას საქმე.** „მთავარი არხის“ ერთ-ერთ დამფუძნებელს და მწიფელს, 2019 წლის 20-21 ივნისის და ნოემბრის საპროტესტო აქციების ერთ-ერთ ორგანიზატორს და მონაწილეს, გიორგი რურუას ბრალი ედება სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილით (ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება); მას ასევე ბრალი წარდგენილი აქვს სსკ-ის 381-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც გულისხმობს სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებლობას ანდა მისი შესრულებისათვის ხელის შეშლას. 2020 წლის 30 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის მოსამართლე ვადერიან ბუგინიშვილმა გიორგი რურუას მიმართ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა და მას სასჯელის სახედ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. სასამართლომ რურუა დამნაშავედ ცნო ორივე ბრადებაში. საქართველოს პრეზიდენტის შეწყალების აქტის საფუძველზე, 2021 წლის 27 აპრილს, მსჯავრდებულმა დატოვა პენიტენციური დაწესებულება<sup>23</sup>. პრეზიდენტმა ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც 2021 წლის 19 აპრილს შეთანხმებას (ე.წ. შარღ მიშელის დოკუმენტს)

<sup>23</sup> ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/2VHvnGE>

ოპოზიციურმა პარტიებმა ხელი მოაწერეს, რომლის თანახმად, გიორგი რურუას მიმართ უნდა ყოფილიყო გამოყენებული გათავისუფლების სამართლებრივი მექანიზმი. ამ შეთანხმებამდე, 2021 წლის 31 მარტს, საქართველოს პრემიერმა, საღმრთო მინისტრმა განაცხადა, რომ გიორგი რურუას არ შეინყაალებდა, რის მოტივდაც მიუთითა, რომ „საზოგადოებამ მასზე კარგად იცოდა, თუ რატომ არ მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას“<sup>24</sup>.

საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დაცვის მხარის მიერ გასაჩივრებულია თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

**მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე - სამართლებრივი ანალიზი**<sup>25</sup>. ამ საქმეში არაერთი მატერიალური და პროცესუალური დარღვევაა იდენტიფიცირებული.

გიორგი რურუას, პირადი ჩხრეკისა და სხვადასხვა საგამოძიებო/საპროცესო მოქმედების ჩატარებისას, არამართლმორიგად შეემთხვა საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო აქტებით განაბრებული უფლებები და თავისუფლებები. კერძოდ: ბრალდებულს დაკავებისას არ მიეცა ადვოკატთან და ოჯახის წევრებთან დაკავშირების შესაძლებლობა<sup>26</sup>; ასევე, დაკავებულისთვის უფლებამოსილებები არ განუმარტავთ<sup>27</sup>, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული პირდაპირი მოთხოვნაა<sup>28</sup>; სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის<sup>29</sup> დარღვევებით<sup>30</sup> ჩატარდა გიორგი რურუას როგორც პირადი, ისე ავტომატური ჩხრეკა<sup>31</sup>; პირადი ჩხრეკის ოქმის შედგენისა და ცეცხლსასრული იარაღის დაღუქვისას დარღვეულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები; საქმეში არსებული საპროცესო დარღვევები, სხვადასხვა ექსპერტიზის დასკვნასთან ერთად, ეჭვქვეშ აყენებს გიორგი რურუას ცეცხლსასრულ იარაღთან შემხებლობასა და

<sup>24</sup> იხ. ინფორმაცია: <https://bit.ly/3ImCaxY>

<sup>25</sup> იხ. „გიორგი რურუას სისხლის სამართლის საქმე სამართლებრივი ანალიზი“; ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 წ.: <https://bit.ly/2CkSOfd>

<sup>26</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი: <https://bit.ly/38KDcNF>. ასევე, იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1990 წ. 21 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე van der Leer v. NLD, განაცხადი 11509/85, 27-ე პუნქტი. იხ. ასევე: Grabenwarter/ Pabel, 2012, გვ. 205.

<sup>27</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის მიერ გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიშები. არსებითი განხილვა: 10.02.2020.

<sup>28</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლი: <https://bit.ly/2InKluz>

<sup>29</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 121-ე მუხლი. <https://bit.ly/2InKluz>

<sup>30</sup> იხ. Guide on Article of the European Convention on Human Rights (Right to respect for private and family life, home and correspondence), European Court of Human Rights, 2019, Article 8. გვ. 88. ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/2YRHdWk>.

<sup>31</sup> საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 119-ე და 120-ე (6) მუხლები. <https://bit.ly/2InKluz>; ასევე - ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო მონიტორინგის მიერ, გიორგი რურუას საქმის მონიტორინგის შესახებ მომზადებული ანგარიში. არსებითი განხილვა: 10/03/2020.

მტკიცებულების ავთენტურობას; არაერთი ფაქტი ცეცხლსასროლი იარაღის მაცუჩის წარმომავლობის საეჭვო გარემოებებზე მიუთითებს; გამომძიებელმა არაერთი საგამომძიებლო მოქმედება ადვოკატის სავადებულო მონაწილეობის გარეშე ჩაატარა<sup>32</sup>; ბრალის დამძიმება კონსტიტუციურ საფუძვლებს იყო მოკლებული და ა.შ. ასევე, გიორგი რურუას საქმეს არ დაერთო პოლიციაში შეყვანის ამსახველი სათვადთვადო კამერების კადრები, რასაც პროცესზე ითხოვდა დაცვის მხარე. პოლიციის განმარტებით, მათ ეს კადრები არ ჰქონდათ. ამ კადრების არსებობა მნიშვნელოვანი იყო იმდენად, რამდენადაც გიორგი რურუა აცხადებდა, რომ პოლიციაში მიყვანისას მას შარვის ჯიბეში ედო დახვეული პარალონი, რაც კარგად გამოჩნდებოდა ვიდეოკამერების კადრებში და ამავე ჯიბეში მას ვერ ექნებოდა ცეცხლსასროლი იარაღი, რაც თითქოსდა პოლიციაში მიყვანის შემდეგ ჩხრეკისას აღმოუჩინეს. გიორგი რურუა აცხადებდა, რომ იარაღი სინამდვილეში მას არ ჰქონია.

**27. ნიკა გვარამიას საქმე** - „მთავარი არხის“ დამფუძნებელსა და გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას ბრალი ედება სსკ-ის 220-ე მუხლით, რაც ითვალისწინებს სანარმოში ან სხვა ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენებას ამ ორგანიზაციაში კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის ან სხვისთვის გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. საქმის განხილვა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში ბრალდების მხარის მტკიცებულებების გამოკვლევით.

### **სასამართლო სხდომის დაკვირვების შედეგები:**

**მონიტორინგის მიმდინარეობისას ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოაქვეყნა ანალიტიკური დოკუმენტი - ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება<sup>33</sup>. საქმეში არაერთი სამართლებრივი პრობლემა იდენტიფიცირებული.**

საქმეში არ არის დაცული სამართლებრივი განსაზღვრულობისა და თვითნებობისგან დაცვის პრინციპები, რომლებიც კონვენციისა და კანონის უზენაესობის საერთო საფრთხეე მიიჩნევა. განსახილველი სადავო ქმედებების სისხლის სამართლის დანაშაულად მიჩნევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, უცნობია, საქართველოს გენერალურმა

<sup>32</sup> იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წ. 11 აპრილის №1/2/503.513 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დევან იზორია და დავით-მიხეილ შუბაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-55. <https://bit.ly/3hhsQIS>; ასევე, იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2003 წ. 29 იანვრის № 2/3/182,185,191 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქეები ფირუზ ბერიაშვილი, რევამ ჭიმშელიშვილი და საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, მე-2 პუნქტი.

<sup>33</sup> იხ. „ნიკა გვარამიას წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სამართლებრივი შეფასება“. ადამიანის უფლებათა ცენტრი, 2020 წ.: <https://bit.ly/33NghAb>

პროკურატურამ მიანიჭა თუ არა საფუძვლიანი მნიშვნელობა ბრადებულის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტ გარემოებებს. ამ ასპექტებს შეეძლო, განდამტეხი მნიშვნელობა ჰქონოდა სადავო ქმედებების სისხლის სამართლის დანაშაულად არმიჩნევისა და ბრადებულის უდანაშაულობის განსაზღვრაში; სისხლის სამართლის საქმეში სამსახურებრივი მდგომარეობის ბორტად გამოყენების ფარგლები სრულიად გაუგებარია და სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოს მხრიდან თვითნებურად არის განმარტებული ბრადებულის საზიანოდ. საქმის მასალებიდან არ ჩანს, პროკურატურამ იმსჯელა თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნის აღტერნატიული სამართლებრივი გზების გამოყენების შესახებ; ასევე - ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ დირექტორის გადაწყვეტილებები შეთანხმებული და მოწონებული იყო პარტნიორებთან, აქციონერებთან და დირექტორის გონივრული მოსაზრებით, მოკლე ან გრძელვადიანი რისკების ანალიზის შედეგად, იგი ემსახურებოდა კორპორაციის საუკეთესო ინტერესებს, რაც ასევე შეთანხმებული იყო ამ სუბიექტებთან.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, სასამართლომ სიღრმისეულად უნდა იმსჯელოს და შეაფასოს, რამდენად წარმოადგენს სადავო ქმედება სისხლისსამართლებრივ დანაშაულს თუ ის განხილული უნდა იყოს საკორპორაციო სამართლის ჭრილში. სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ბრადებულის შინაარსი, მისი განხორციელება დროსა და სივრცეში, ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს ქმედებები (მათ შორის - სისხლისსამართლებრივი ნორმის თვითნებური განმარტება) და სხვა ფაქტობრივი გარემოებები, რაც ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს შერჩევითი სამართლის შესაძლო გამოყენებაზე, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე პირის მიმართ. სასამართლო სხდომებზე სასამართლო ამ საკითხებზე ყურადღებას არ ამახვილებს.

**28. აღექსი მაჭავარიანის, ნოდარ რუხაძის და გიორგი მჭავანაძის საქმე**

- აღექსი მაჭავარიანი პოლიციამ დააკავა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, რაც გულისხმობს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი ვანკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებას.

ნოდარ რუხაძე და გიორგი მჭავანაძე პოლიციამ დააკავა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის (წვრილმანი ხუდიგნობა - საზოგადოებრივ ადგილებში დანძღვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს) და ასევე -



ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, რაც გულისხმობს სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას.

ორივე საქმე გაერთიანდა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს, სადაც სამივე დაკავებული სასამართლომ ცნო სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენაში. აღექვსი მაჭავარიანის მიმართ გამოყენებულ იქნა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით, ნოდარ ჩუხაძის მიმართ - ჯარიმა 1500 ლარის ოდენობით, გიორგი მჭავანაძის მიმართ კი - 3 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა. გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით.

**29-30-31.ღევან იმერლიშვილის, გიორგი ესიაშვილის და მინდია ამბარდნიშვილის საქმე (ყოფილი სპეცრაზმელების საქმე) -** ბრალდებულებს ბრალი წარედგინათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით („მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება, რამაც ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია, ჩადენილი ძალადობით ან იარაღის გამოყენებით“).

ყოფილი სპეცრაზმელები - ღევან იმერლიშვილი, გიორგი ესიაშვილი და მინდია ამბარდნიშვილი 2019 წლის ზაფხულში დააკავეს. ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარებული ჰქონდათ პატიმრობა, რომელიც შემდგომ შეიცვალა 10 000-ლარიანი გირაოს სახით. ღევან იმერლიშვილის მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველად დასახელდა ბრალდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რაც სასამართლომ გაიზიარა და ადვოკატის შუამდგომლობა დააკმაყოფილა.

### **სასამართლო სხდომის დაკვირვების შედეგები:**

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მიმდინარეობისას ღევან იმერლიშვილის და მინდია ამბარდნიშვილის წინააღმდეგ მიმდინარე საქმეებზე სასამართლო სხდომები არ ჩატარებულა. იმერლიშვილის საქმეზე სხდომა რამდენჯერმე ჩაინიშნა, მაგრამ ყოველ ჯერზე გადაიდო.

რაც შეეხება გიორგი ესიაშვილს, მონიტორინგისას 4 სასამართლო სხდომა ჩატარდა. საქმეზე დაიკითხნენ ბრალდების მხარის მოწმეები, მათ შორის - სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტები.

2021 წლის 18 მარტს განსახილველ სისხლის სამართლის საქმეს, დაცვის მხარის შუამდგომლობით, დაერთო განცხადება, რომელიც ეხება დაზარალებულთა (ამ საქმეში ორი დაზარალებულია) და ბრალდებულის შერიგებას, ბრალდებულის მხრიდან ზიანის სრულად ანაზღაურების ფაქტს. განცხადების თანახმად, დაზარალებულები აცხადებენ, რომ მათ არ გააჩნიათ პრეტენზია ამ საქმესთან დაკავშირებით და მიესაღებებიან ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების გაფორმებას.

2021 წლის 22 აპრილს თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა ბრალდებულ გიორგი ესიაშვილის მიმართ გამოყენებული დამატებითი ღონისძიებების გაუქმების თაობაზე. დამატებითი ღონისძიების სახედ გამოყენებული იყო საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და მისი თანხმობის გარეშე საცხოვრებელი სახლის დატოვების უფლებისა და საგამოძიებო ორგანოში კვირაში ერთხედ გამოცხადების ვადებულება.

გიორგი ესიაშვილი სრულად იზიარებდა მის მიმართ წარდგენილ ბრალდებას. მედიის ინფორმაციით, ბრალს ასევე აღიარებდა ღვეჯან იმერლიშვილიც. ხოლო მიწვია ამბარდნიშვილის ადვოკატი აცხადებდა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს უფლებამოსილება არ გადაუმეტებია და არც ამინსტია სჭირებოდა, რადგან ამ საქმეზე გამამართლებელი განაჩენი დადგებოდა.

**32. 2021 წლის 5 ივლისის კონტრაქციაზე დაკავებულთა საქმე** - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით, 5 და 6 ივლისს თბილისში სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი „ღირსების მარშის“ საწინააღმდეგო პომოლოგიური აქციის მიმდინარეობისას, აურნაღისტებზე ძალადობისა და პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ბრალდებით, კონტრაქციის რამდენიმე მონაწილე დააკავეს. ადამიანის უფლებათა ცენტრი თბილისის საქალაქო სასამართლოში აკვირებდა ბრალდებულების მუხრან დადგანის, ირაკლი წიგნაძის, ნიკოლოზ გუდუაშის, ბაქარ მანსურაძის, თორნიკე გაბლიანის, ვანო ბურდულის და დავით ქოჩიაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე საქმეების განხილვას. ამ პირების საქმე გაერთიანებულია და განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ბესიკ ბუგიანიშვილი. ბრალდებულებს სახელმწიფო ბრალდება ედება სსკ-ის 225 მუხლის მე-2 ნაწილით და სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით და სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას.

**33-34-35. ტატო ჩერქეზიშვილის, გიორგი გაგნიძის და იოსებ ტაბატაძის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები** - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ კობა ჩაგუნავამ ცად-ცადვე განიხილა ჩერქეზიშვილის, გაგნიძის და ტაბატაძის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები. სასამართლო სხდომაზე

გამოქვეყნებული ოქმის თანახმად, 2021 წლის 6 ივლისს რუსთაველის გამზირზე მიმდინარეობდა 2 აქცია. მდუმარე აქცია პარლამენტის წინ, კონტრაქცია კი - გიმნაზიის მიმდებარე ტერიტორიაზე. მიმდინარე აქციებს შორის პოლიციას ჰქონდა ცოცხალი ჯაჭვი, რათა აქციის მონაწილეები კონტრაქციის მონაწილეთა აგრესიისგან დაეცვა. როგორც ცნობილია, კონტრაქციის წარმომადგენლები იყვნენ აგრესიულად განწყობილები. ამასთანავე, ფიზიკური ძალით ცდილობდნენ პოლიციის ცოცხალი ჯაჭვის გარღვევას და მდუმარე აქციის მონაწილეებზე თავდასხმას. ასევე, ესროდნენ კვერცხებს და ბოთლებს. პოლიციელების ჩვენებით, სამართალდამრღვევები არ დაემორჩილნენ მათ კანონიერ მოთხოვნას და შეურაცხყოფაც მიაყენეს. მოსამართლემ სამივე პირი სამართალდამრღვევად ცნო და ადმინისტრაციული სახელის სახით ორ მათგანს 2500 ლარის გადახდა, ხოლო ერთს - 2200 ლარის გადახდა დააკისრა.

ადამიანის უფლებათა ცენტრი ყოფილი სპეცრაზმელების - დევან იმერლიშვილის, გიორგი ესიაშვილის და მიხეილა ამბარდნიშვილის სასამართლო პროცესებს დააკვირდა, ხოლო ჰომოფობიური კონტრაქციის მონაწილეთა საქმეების სასამართლო განხილვას აკვირდება, რათა გამოკვეთოს პროკურატურის, ასევე - სასამართლო ხელისუფლების მიდგომა; შეაღაროს სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების მიმართ და მოცემულ საქმეებზე რამდენად მიუკერძოებლად იქნება დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლება; ასევე - სამართლებრივად გააანალიზოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ამ საქმეებზე, სადაც დამარტყვები არიან ჟურნალისტები და სამოქალაქო აქტივისტები.

ჰომოფობიური კონტრაქციის მონაწილეების წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვისას, 2021 წლის 30 ნოემბრამდე, მხარეებმა მხოლოდ შესავალი სიტყვა თქვეს. ბრალდებულები არც ერთ წარდგენილ ბრალდებას არ აღიარებენ და თავს უდანაშაულოდ მიიჩნევენ.

### **36. მიხეილ სააკაშვილის საქმე, საზღვრის უკანონო კვეთის ბრალდებით**

- საქართველოს მესამე პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს პროკურატურამ ახალი ბრალი წარუდგინა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის პირველი ნაწილით. პროკურატურის განცხადებით<sup>34</sup>, 2021 წლის 28 სექტემბერს უკრაინიდან, ვერძოლ - ჩერნომონსკის პორტიდან ფოთის ნავსადგურში შევიდა გემი „ვილიუსი“. ამ გემიდან 29 სექტემბერს ჩამოვიდა შპს IKA TRANS-ის საკუთრებაში არსებული SCANIA-ს ფირმის მისაბმელიანი სატრანსპორტო საშუალება - ტრაილერი, რომელიც დატვირთული იყო რძის პროდუქტებით. ეს ტრაილერი ჯერ ხიდზე შეჩერდა, რის შემდეგაც მძღოლმა - ედგუჭა ცომიაიმ რეგისტრაციამდე ტრაილერი მოსაწყვედ ადგილზე გააჩერა, საიდანაც დაიძრა გასასვლელისკენ. რამდენიმე ათეული მეტრის გავლის შემდეგ, ფოთის პორტის ტერიტორიაზე ედგუჭა

<sup>34</sup> იხ. საქართველოს პროკურატურის განცხადება: <https://bit.ly/3oyBKGz>

ცომაიამ გააჩინა სატვირთო ავტომანქანა და მივიდა ავტომანქანის მისაბმელის უკანა კართან, საიდანაც ჩამოვიდა მიხეილ სააკაშვილი, რომელიც მარჯვენა მხრიდან სატვირთო ავტომანქანის კაბინაში ჩაჯდა. ამ ქმედებით, მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო კონტროლის გვერდის ავლით, ელვუჭა ცომაიას დახმარებით უკანონოდ გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. მიხეილ სააკაშვილის ამ საქმეზე სასამართლო სხდომა მიმდინარეობს თბილისის საქალაქო სასამართლოში.

### **სასამართლო სხდომის დაკვირვების შედეგები:**

2021 წლის 16 ნოემბერს საქმეზე პირველი სასამართლო სხდომა გაიმართა. როგორც პროცესზე გაირკვა, ბრალდებულ მიხეილ სააკაშვილს სურვილი აქვს, საქმის განხილვაში მონაწილეობა მიიღოს უშუალოდ სხდომის დარბაზიდან, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის და მისი უსაფრთხოების მომზადებით, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა არ უზრუნველყო ბრალდებულის სასამართლოში მიყვანა. ასევე, მოსამართლე კურტანიძემ, დაცვის მხარესთან შეთანხმებდა, როცა მან ჯერ არ იცოდა, სპეციალური პენიტენციური სამსახური მოახდენდა თუ არა სააკაშვილის წარმოდგენას სასამართლოში, მოითხოვა ბრალდებულის სასამართლოში წარმოდგენა ანდა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს უზრუნველყო სააკაშვილის დისტანციური მონაწილეობა პროცესში. მიხეილ სააკაშვილმა დისტანციურ ჩართვაზე უარი განაცხადა. საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში გრძელდება.

**37. დავით ნებიერიძის, ვახაბერ კვარაცხელიას, ბორის ყურუასა და ირაკლი ძიძიგურის საქმე.** 2021 წლის 10 ნოემბერს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შენობის წინ გამართულ საპროტესტო აქციაზე სამართადაცველებმა აქციის მონაწილეები წვრილმანი ხელიგნობისა და სამართადაცვაი ორგანოს თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნისაღმი დაუმორჩილებლობის გამო დააკავეს. სამართადაცვლების ოქმებში აღნიშნული იყო, რომ ჩამოთვლილი პირები უშვერი სიტყვებით იგინებოდნენ და გზის სავად ნაწილზე დგომით ხელს უშლიდნენ ტრანსპორტის გადაადგილებას. მოსამართლე დედაცაგარეიშვილმა ოთხივე პირი სამართადაცვამრლვევად ცნო და გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო მხოლოდ პატრულ-ინსპექტორის ჩვენებას და სამართადაცვლების ოქმებს. ირაკლი ძიძიგურის გარდა, რომელიც 2 000 ლარით დაჯარიმდა, სასამართლომ სამივე პირის მიმართ ადმინისტრაციული სახედის სახით 1, 4 და 5 დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა გამოიყენა.

**38. ელენე ხოშტარიას საქმე.** 2021 წლის 11 ივლისს თბილისში, ტელეკომპანია ტვ „პირველის“ ოპერატორის, დექსო დაშქარავას გარდაცვალების გამო გამართულ საპროტესტო აქციის დღეს, პოლიტიკური პარტია „დროას“ დიდებმა, ელენე ხოშტარიამ მთავრობის ადმინისტრაციის კედელს წითელი ფერის საღებავი შეასხა. ხოშტარია პოლიციელთა მოწოდებას

არ დაემორჩილა. წვრილმანი ხუდიგნობისა და პოლიციელის შეურაცხყოფის გამო, მის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგა. ედენე ხოშტარია სასამართლოს არცერთ სხდომაზე არ გამოცხადდა. მტკიცებულებათა გამოკვლევის ეტაპზე სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ იქნა ვიდეომასალა, რომელიც ასახავდა პოლიციელებთან ჭიდილსა და სალუბავის ვედეღზე მისხმას, ასევე - ხოშტარიას მცდელობას, გაერღვის კორღონი. ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის თქმით, კუმულაციურად, ეს მტკიცებულებები ერთმანეთთან თანხვედრაშია, რის გამოც მოითხოვეს ხოშტარიას სამართალდამრღვევად ცნობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე კობა ჩაგუნავამ ედენე ხოშტარია სამართალდამრღვევად ცნო და 2200 ლარით დააჯარიმა.

**39. ზურაბ და შადვა წოწორიების, ედგუჯა ცომაიას, გიორგი ნარიმანიძის საქმე.** ეს პირები ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ, დანაშაულის დაფარვის ბრადეებით დააკავეს. მათ ბრალი წამრდგენილი აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვას გულისხმობს და ითვადისწინებს სასჯელს ერთიდან ოთხ წლამდე.

2021 წლის 4 ოქტომბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ჯემალ კოპალიანმა დააკავყოფილა პორკურატურის შუამდგომლობა და ედგუჯა ცომაია პატიმრობაში დატოვა. სამართალდამცველებმა ედგუჯა ცომაია 1 ოქტომბერს იმის გამო დააკავეს, რომ მან ძებნილ სააკაშვილს საკუთარი ბინა დაუთმო. გამოძიების ინფორმაციით, ედგუჯა ცომაიამ იცოდა, რომ უკრაინის მოქალაქე მიხეილ სააკაშვილი მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის იძებნებოდა საქართველოს შსს-ს მიერ. „მიუხედავად ამისა, თავისი აქტიური მოქმედებით, 2021 წლის 30 სექტემბერს მას დასამადად და ღროებით საცხოვრებლად გადასცა თავის მფლობელობაში არსებული თბილისის ბინა“.

გამოძიების მტკიცებით, 2021 წლის 29 სექტემბერს, მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის შემდგომ, ზურაბ და შადვა წოწორიებმა საკუთარი ავტომანქანით უზრუნველყვეს სააკაშვილის ტრანსპორტირება და დანიშნულების ადგილას - სამეგრელოს ერთ-ერთ სოფელში მიიყვანეს. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი გელაშვილმა, 2021 წლის 5 ოქტომბერს, პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე მამა-შვილ წოწორიებს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

გიორგი ნარიმანიძე, ტრადერის მძლოლი, რომელიც მესამე პრეზიდენტის საქმეზე მეოთხე დაკავებულია, ბრალს არ აღიარებს. გამოძიების მტკიცებით, გიორგი ნარიმანიძე იმყოფებოდა იმ სატვირთო ავტომობილში, რომლითაც მიხეილ სააკაშვილი აბაშიდან თბილისში ჩამოვიდა, იცოდა, რა გზებით

შემოვიდა პრეზიდენტი ქვეყანაში და ეს ამბავი დამადა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც მძიმე დანაშაულის წინასწარ შეუპირებლად დაფარვას გულისხმობს. სასამართლომ ბრადებუდი ნარიმანიძე პატიმრობაში დატოვა. თავდაპირველად, აღნიშნულ ბრადებულ პირთა სისხლის სამართლის საქმეები ცად-ცადვე განიხილებოდა, მოგვიანებით კი, პროკურორის დადგენილების საფუძველზე გაერთიანდა.

**40. გიორგი თაბაგარის საქმე** - დგბტ აქტივისტის, „თბილისი პრაიდის“ ხელმძღვანელის, გიორგი თაბაგარის განცხადებით, მის წინააღმდეგ საქმის წარმოება ძველი თბილისის პოლიციაში დაიწყო. საქმე ეხება 5 ივლისის იმ ეპიზოდს, როცა თბილისის ქუჩებში მოძალადე პოლიციელები ჯვრები ჟურნალისტებსა და მოქალაქეებზე ძაღლებდნენ, თაბაგარს კი პოლიციედი დაუკავშირდა და იმ დროისთვის დაბეჭდულ ოფისში მისვლა სთხოვა. პოლიციედი აცხადებდა, რომ პასუხად თაბაგარმა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. გიორგი თაბაგარის მიმართ საქმის წარმოება მიმდინარეობდა პოლიციედი მიმართ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტზე, რაც გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის პირველი ნაწილით. სასამართლომ გამოიკვლია საქმესთან დაკავშირებული ყველა მტკიცებულება. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ 2021 წლის 22 ოქტომბერს გიორგი თაბაგარი სამართალდამრღვევად ცნო 2021 წლის 5 ივლისის ეპიზოდზე, რაც გულისხმობდა პოლიციედი მიმართ სიტყვიერ შეურაცხყოფას. მოსამართლემ თაბაგარს სიტყვიერი შენიშვნა გამოუცხადა.

**41. აღიკვა კუპრავას საქმე** თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ, ციცილო როხვაძემ განიხილა. სასამართლო ხსდომაზე პოლიციის წარმომადგენლის განმარტებით, 2021 წლის 8 ნოემბერს, ქალაქ თბილისში, ქეთევან წამებულის №61 მიმდებარედ, სადაც საზოგადოების თავშეყრის ადგილია, მოძრაობდა აღიკვა კუპრავა. პოლიციის განმარტებით, კუპრავა აგრესიული განწყობით, ხმაშალაღი შეძახილებით და ღანძლივით მიმართავდა პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც საპასუხოდ მოქალაქეს მოუწოდებდნენ დამშვიდებისაკენ, რაც არ გაითვალისწინა. ამიტომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე, აღიკვა კუპრავა დააკავეს. საქმეზე სასამართლომ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები. დაცვის მხარის შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

#### **სასამართლო სხდომის დაკვირვების შედეგები:**

მოსამზადებელ სხდომაზე სასამართლომ მოისმინა მხარეთა შუამდგომლობები. ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენი, რომელმაც

სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა მოწმის სახით დაკითხულიყვნენ დამკავებელი პირები (სამი პირი). შუამდგომლობა დაკმაყოფილდა. ვინაიდან აღიკავა კუპრავას დამცველები არ იცნობდნენ საქმის მასალებს, მოსამართლემ გამოაცხადა ერთსაათიანი შესვენება. ამის შემდგომ, დამცველებმა დააყენეს შუამდგომლობა, ყველა იმ პირის სასამართლოს წინაშე დაკითხვის თაობაზე, ვისი გამოკითხვის ოქმიც საქმეს ერთვის და ამ მოტივით მოითხოვეს სხდომის გადადება. ადვოკატების განცხადებით, ეს პიროვნებები იმყოფებოდნენ იმ ადგილას, სადაც სავარაუდო აღმინისტრაციული სამართალდარღვევა მოხდა. აღმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლების თქმით, გამოკითხულ პიროვნებებს საერთოდ არც დაუნახავთ, რა მოხდა. ისინი ამ დროს მუშაობდნენ (საღონი, სამკერვალო და სხვა) და ასევე, ყველამ დაათქვამირა თავისი პოზიცია (უარი) სასამართლოში გამოცხადებასთან დაკავშირებით.

სასამართლომ უარი თქვა სხდომის გადადებაზე, რადგან წინა სხდომა გადაიღო ორი კვირით და მხარეებს საკმარისი დრო ჰქონდათ, უზრუნველყოთ მოწმეთა გამოცხადება სასამართლოში. მოსამართლემ აღნიშნა, რომ გამოაცხადებდა შესვენებას და მხარეს შეეძლო, მოეყვანა მოწმეები. მხარემ ეს დრო არაგონივრულად მიიჩნია და იძულებული გახდა, შუამდგომლობა უკან გაეხმო. დამატებით, მან იშუამდგომლა იმ ოქმების დაუშვებელ მტკიცებულებადაც ცნობის თაობაზე, რომლებიც საქმეს ერთვის და მასში ასახულია მოწმეთა გამოკითხვა. სასამართლოს თქმით, ეს არ არის სისხლის სამართლის საქმე და არ განიხილება მტკიცებულებათა დასაშვებობა-დაუშვებლობის საკითხი. სასამართლო ბოლოს შეათვალს ყველა წარგენილ მტკიცებულებას და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, სადაც ასახავს, იზიარებს თუ არა წარდგენილ მტკიცებულებებს.

აღიკავა კუპრავას დამცველებმა დააყენეს მოსამართლის აცილების შესახებ შუამდგომლობა. დასაბუთებისას განმარტეს, რომ გაურკვეველი მიზეზით მოსამართლეს ჰქონდა აგრესია მათ მიმართ და ზღუდავდა დროში. სასამართლომ ადგილზე თათბირით გამოაცხადა საოქმო დადგენილება და დაყენებული შუამდგომლობა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-ე 285-ე და 31-ე მუხლების საფუძველზე, არ დააკმაყოფილა. სასამართლომ მიიჩნია, რომ დროში შეზღუდვის გამო აცილების შუამდგომლობა არ არის დასაბუთებული, ვინაიდან სასამართლო უფლებამოსილია, მხარეს განუსაზღვროს დრო და შეზღუდოს იგი. მოსამართლის თქმით, სასამართლო თავად შეზღუდულია დროში. დარბაზების სიმცირისა და განრიგის გადატვირთულობიდან გამომდინარე, მოსამართლე ცდილობდა, მაქსიმალურად განეხორციელებინა მართლმსაჯულება.

დამცველებმა დააყენეს შუამდგომლობა ვიდეორჩანაწერების გამოთხოვისა და დაკავების კადრების წარდგენის თაობაზე.

ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამხრე კამერებით საპატრულო პოლიციის თანამშრომლები არიან აღჭურვილნი და არა კრიმინალური პოლიციის. შესაბამისად, სამხრე კამერების ჩანაწერები არ არსებობდა. ამასთანავე, **ორგანოს წარმომადგენლის თქმით, ძაღვობას ადგილი არ ჰქონია და ვიდეოკამერებიც არაფრის მომცემი იქნებოდა.**

სასამართლომ არ მიიჩნია სხდომის გადაღება გონივრულად იმ მიზეზით, რომ მოხდეს მტკიცებულებათა მოპოვება. მხარემ არ წარმოადგინა მტკიცებულებები და ბრძანა, რომ არ არსებობს მსგავსი ვიდეორჩანაწერი. სასამართლომ არაერთხელ განაცხადა სხდომის მიმდინარეობისას, რომ მხარეებს ჰქონდათ საკმაო ვადა, რათა უზრუნველყოთ მოწმეთა დროული გამოცხადება სასამართლოში და სხვა მტკიცებულებების მოპოვება, მათ შორის - ვიდეორჩანაწერების.

აღიკა კუპრაგას უფლებების დამცველებმა მიუთითეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა და განაცხადეს, რომ სასამართლოს შეუძლია, ადმინისტრაციულ საქმეზე გაავრცელოს სისხლის სამართლის საპროცესო წესები. შუამდგომლობაში მხარე ითხოვდა პროკურორის მოწვევას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 235-ე მუხლის საფუძველზე და მის საქმეში დამოუკიდებელ ბრალდებულად ჩართვას. მათი თქმით, როდესაც საქმეში არ არის ბრალდებელი, მოსამართლე ითვისებს ამ ფუნქციას და აღარ არის დამოუკიდებელი. მოსამართლემ ადგილზე თათბირით გამოაცხადა საოქმო განჩინება და არ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა.

საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, სასამართლომ აღიკა კუპრაგას განუმარტა უფლება-მოვალეობები და გააცნო მოსალოდნელი სახედი. მოისმინა ოქმის შემდგენი ორგანოს შუამდგომლობები და მეორე მხარის ახსნა-განმარტება.

აღიკა კუპრაგამ ვრცლად განმარტა, თუ რა მოხდა მისი დაკავების დღეს. კერძოდ, 2021 წლის 8 ნოემბერს, მას დაუკავშირდა რამდენიმე ჟურნალისტი და უთხრეს, რომ პარლამენტის უკანა ეზოსთან შსს-მ განაღდა რკინის ბარიერები, რასთან დაკავშირებითაც სურდათ მისი, როგორც სამოქალაქო აქტივისტისა და იურისტის შეფასების მოსმენა. შეფასების ფაქტისა და ერთსაათიანი რექციის დასრულების შემდგომ, წავიდა მკერავთან. ამ დროს მან გაიგო ვანო მალაღაშვილის დაკავების შესახებ. ეს პიროვნება აღიკა კუპრაგასთან ერთად იმყოფებოდა პარლამენტის უკან და აფასებდა ხელისუფლების მხრიდან რკინის ბარიერების დადგმის ფაქტს. ვანო მალაღაშვილი ტერავიზიის საშუალებით ძაღვობრივი მოწოდების გავრცელებისთვის დააკავს. კუპრაგას თქმით, სამკერავლოში შესვლის დროს, ავტობუსის გაჩერებასთან გამორჩნდა ოთხი ადამიანი. ეს პიროვნებები იმადებოდნენ გაჩერების უკან. აღიკა კუპრაგას აღქმით, ისინი იყვნენ სუს-ის თანამშრომლები და არა სასამართლოს



სხდომაზე წარმოდგენილი დამკავებელი პოლიციელები. მათ ჰქონდათ ფოტოსურათი და აღიკავს ჰკითხეს, იყო თუ არა ის ფოტოზე გამოსახული პიროვნება. თანხმობის შემდეგ განუცხადეს, რომ გამოძიება არის დაწყებული ძაღადობრივ მოწოდებასთან დაკავშირებით და უნდა გაყოლოდა მათ განყოფილებაში. კუპრავამ უპასუხა, რომ მისი მხრიდან მსგავსი ტიპის მოწოდებას ადგილი არ ჰქონია და თუ გამოძიება დაწყებულია, მისთვის უნდა გამოეგზავნათ ოფიციალური უწყება. გამოკითხვაზე უარის თქმის შემდეგ, დაიწყო დაკავება და კუპრავას ჩამოართვეს მობილური ტელეფონი. დაკავებულმა მოითხოვა დარეკვა, რისი უფლებაც არ მიეცა. კუპრავას თქმით, ერთ-ერთ პოლიციელს ვლთსაჰის ჩათბი ჰქონდა მითითება, რომ სასწრაფოდ ჩამოერთვათ ტელეფონი, რათა არსად მოესწრო დარეკვა.

აღიკავა კუპრავამ სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ **სხდომის დარბაზში წარმოდგენილი პოლიციელები არ იმყოფებოდნენ დაკავების ადგილას და ისინი მე-11 სამმართველოსთან მივიდნენ.** დაკავების შემდეგ გზად აღიკავა კუპრავას განუმარტეს, რომ დაკავებული იყო წინააღმდეგობის გამო. ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით დაკავების შესახებ განყოფილებაში მიყვანის დროს გახდა ცნობილი.

მოწმეთა გამოკითხვის ეტაპზე, დამკავებულმა პირებმა სასამართლოს წინაშე მიცემულ ჩვენებაში აღნიშნეს, რომ აღიკავა კუპრავა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას იგინებოდა. სახელმწიფოსადმი გამოხატავდა უკმაყოფილებას და მათაც აყენებდა შეურაცხყოფას. სავარაუდო სამართალდამრღვევი იყენებდა შემდეგ სიტყვებს: „ამათი დრო მორჩება“, „დაგამთავრებთ“, „მონები ხართ“. პოლიციელების თქმით, ისინი მოუწოდებდნენ წესრიგის დაცვისკენ და მათი მოთხოვნის დაუმორჩილებლობის შემდეგ, იძულებულნი გახდნენ, დაეკავებინათ აღიკავა კუპრავა.

ერთ-ერთმა მოწმემ განაცხადა, რომ არ ახსოვს ხელბორკილები ვინ დაადო- მან თუ სხვამ, ასევე - ვინ ჩამოართვა დაკავებულს მობილური ტელეფონი. სამივე მოწმემ ვერ გაიხსენა, ვინ იჭდა საჭესთან, როდესაც მოხდა დაკავება.

**მოწმეთა ჩვენებები, ობიექტური დამკვირვებლის თვალით, არ არის სარწმუნო. დაკავებიდან გასულია დაახლოებით 11 დღე. ვერცერთმა მოწმემ ვერ გაიხსენა, სამსახურბრივი მანქანის მართვის დროს, ვინ იჭდა საჭესთან და ვინ დაადო დაკავებულს ხელბორკილი.**

მოწმეთა დაკითხვის შემდგომ, სასამართლომ ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენელს სთხოვა იმ ოქმების გამოქვეყნება, რომელშიც მოცემულია გამოკითხულ პირთა მიერ მიწოდებული ინფორმაცია. ოქმებში ყველა აცხადებს, რომ არაფერი დაუნახავს და არაფერი გაუგია.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოს არ სურდა სხდომის გადადება და არაერთხელ უთხრა უარი მხარეს, სხდომა მაინც გადადო. მოსამართლემ დაავადებულმა ადმინისტრაციული ორგანო და საგარეულო სამართალდამრღვევი, თუკი არსებობს რამე ვიდეოჩანაწერი, მოეპოვებინათ და წარედგინათ შემდეგი სხდომისთვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა სამართალდარღვევის ფაქტი.

ალსანიშნავია მოსამართლის ქცევა სასამართლო სხდომებზე. მოსამართლე საგარეულო სამართალდამრღვევსა და მის ადვოკატებს პოლემიკაში ჰყვებოდა; მათ მიერ გამოთქმულ აზრებს პირად შეურაცხყოფად იღებდა და დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ აღიკვა კუპრავას მიმართა შემდეგი სიტყვებით: **„აქვე გეტყობათ, როგორც იქცევით“**.

***აღიკა კუპრავას საქმის შესახებ ასეთი გრყელი აღწერილობა და ანალიზი განაპირობა ამ ერთ საქმეში გამოვვეთილმა ყველა იმ სისტემურმა პრობლემამ, რაც არსებობს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში და აისახება სასამართლო პრაქტიკაზეც, განსაკუთრებით - იმ საქმეებზე, როდესაც კოდექსი პოლიტიკური შურისძიების იარაღად გამოიყენება.***

**42. ცოტნე ღომიძის საქმე.** ამ საქმეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიის მოსამართლე დედა ცაგარეიშვილი განიხილავდა. სასამართლო სხდომაზე შსს-ს განმარტებით, 2021 წლის 12 ივლისს თბილისში ერეკლე მეორის ქუჩაზე, „ქართული ოცნების“ ოფისთან, მიმდინარეობდა აქცია, სადაც შეკრებილი იყო ხაღხი და გამოხატავდა პროტესტს. ადგილზე წარმოდგენილი იყო პოლიცია, რომელიც ცდილობდა, დაეცვა მართლწესრიგი, მოეხდინა რეაგირება და პრევენცია სამართალდარღვევაზე. აქციაზე იმყოფებოდა „გირჩი - მეტი თავისუფლების“ წევრი, ცოტნე ღომიძეც, რომელიც ისროდა კვერცხებს პოლიციის მიმართულებით. ასევე, იგი ხელს უშლიდა პოლიციას სხვა პირების ადმინისტრაციულ დაკავებებში. შსს-ს წარმომადგენლებმა ცოტნე ღომიძე ადმინისტრაციული წესით დააკავეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე. იგი 48 საათი ჰყავდათ წინასწარი დაკავების იზოლატორში. ამ ვადის ამოწურვის შემდეგ, გაათავისუფლეს და შემდეგ დაიბარეს სასამართლოში საქმის განხილვაზე.

### **სასამართლო სხდომის დაკვირვების შედეგები:**

სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული მტყუბულებებით არ დასტურდებოდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი, არ იყო წარმოდგენილი ნეიტრალური მტკიცებულებები. ასევე, დაცვის მხარე აცხადებდა, რომ სასამართლო სხდომაზე წარმოდგენილი მოწმე არ იყო დამკავებელი პოლიციელი. მიუხედავად ამისა, სასამართლომ ცოტნე ღომიძე ადმინისტრაციულ

სამართალდამრღვევად ცნო და მის მიმართ, სანქციის სახით, სიტყვიერი შენიშვნა გამოიყენა.

## მიხეილ სააკაშვილის მიმართ განხორციელებული მოპყრობის ფაქტების შეფასება

2021 წლის 1 ოქტომბერს ექსპრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ იმყოფებოდა საქართველოში. თავდაპირველად, მმართველი პარტია, „ქართული ოცნება“ უარყოფდა ამ ინფორმაციას და აცხადებდა, რომ სააკაშვილი უკრაინაშია და არ დაუტოვებია უკრაინის ტერიტორია. მოგვიანებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიბაშვილმა, შინაგან საქმეთა მინისტრ ვახტანგ გომედაურთან და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროს გრიგოლ დიდუაშვილთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, რომ მიხეილ სააკაშვილი დაკავებულია<sup>35</sup>. ამავე დღეს, პროტესტის ნიშნად, სააკაშვილმა შიმშილობა დაიწყო და განაცხადა, რომ მისი დაკავება პოლიტიკურად მოტივირებულია.

მოშიშმდევე პატიმრის ჯანმრთელობის გაუარესებისა და ჰოსპიტალიზაციის აუცილებლობის რისკების გათვალისწინებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მოიწვია ექიმთა კონსილიუმი, რომლის დასკვნის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საკითხები მედიკოსებთან გახდა საზოგადოებისთვის ცნობილი. კერძოდ, 2021 წლის 8 ნოემბერს „რადიო თავისუფლებამ“ გაავრცელა კონსილიუმის შემადგამებელ ოქმში არსებული ინფორმაცია, რომლის თანახმად, „*პაციენტი [მიხეილ სააკაშვილი] იმყოფება მუდტისისტემური გართულებების მალად რისკში. საჭიროებს მკურნალობას მუდტისისტემური, მალადტექნოლოგიურ სამედიცინო დაწესებულებაში გადაუდებლად, სადაც საშუალება იქნება ჩაუტარდეს შესაბამისი: კარდიოვასკულარული, ნევროლოგიური, სამკურნალო და დიაგნოსტიკური რადიოლოგიური, პედატოლოგიური, ენდოკრინული, ნუტრიციული თერაპია*“<sup>36</sup>.

ამ ინფორმაციის გავრცელებას მოჰყვა მმართველი პარტიის წარმომადგენლების, მათ შორის, პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ლარიბაშვილის განცხადება, რომ პატიმრობაში მყოფი მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის სამოქალაქო საავადმყოფოში გადაყვანა გამორიცხებულია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, მას მხოლოდ ბრადებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანდნენ. აქვე აღსანიშნავია, რომ პატიმრის სხვა, მათ შორის, სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის საკითხი არ წარმოადგენს საქართველოს პრემიერ-მინისტრის კომპეტენციის

<sup>35</sup>იხ. ინფორმაცია: <https://www.ambebi.ge/article/265917-mixeil-saakashvili-dakavebulia-premier/>

<sup>36</sup>იხ. რადიო „თავისუფლების“ ინფორმაცია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31551550.html>

სფეროს და, შესაბამისად, იგი არ არის უფლებამოსილი მსგავს საკითხებზე გადაწყვეტილებები მიიღოს.

2021 წლის 29 ოქტომბერს, პრემიერმა ღარიბაშვილმა განაცხადა „პატიმრის თვითმკვლელობის უფლებაზე“. კერძოდ, მოშიმშილე მიხეილ სააკაშვილთან კავშირში მან თქვა: **„ფინალი, არ ვიცი ახლა... ადამიანი თუ თავის ჯანმრთელობას იზიანებს... ის კი არა, უფრო მეტიც: კანონში წერია, რომ ადამიანს აქვს თვითმკვლელობის უფლება“**<sup>37</sup>. ასევე, ღარიბაშვილმა აღნიშნა - „ადამიანი როცა აცხადებს, რომ შიშილობს, ნახევარ კილოგრამ თაფლს არ უნდა ჭამდეს“. ღარიბაშვილის გარდა, ექსპრეზიდენტის შიშილობის თემაზე კომენტარი გააკეთა პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ - „ეს კაცი ჭამს და სვამს, 3 ლიტრი ღემონათი უნდა და სვამს“. ამ განცხადებების საპასუხოდ, პროტესტის ნიშნად, სააკაშვილმა უარი თქვა ნებისმიერ სამედიცინო დახმარებაზე.

მაღალი თანამდებობის პირებისა და საჯარო უწყებების მსგავსი განცხადებები არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის ნაწილია, რაც პირდაპირ იყო მიმართული მოშიმშილე პატიმრის მდგომარეობის დაძვივებისა და მისი პროვოცირებისკენ - უარი ეთქვა სამედიცინო პერსონალის მიერ რეკომენდებული, სასიცოცხლოდ საჭირო ნივთიერებების მიღებაზე და სრულ შიშილობაზე გადასულიყო<sup>38</sup>.

2021 წლის 6 ნოემბერს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა გაავრცელა კადრები, სადაც ჩანს, რომ მიხეილ სააკაშვილი N12 დაწესებულების სამედიცინო ნაწილში, სამედიცინო პერსონალის თანდასწრებით, იღებს სპეციალურ საკვებ დანამატებს. ეს კადრები მოშიმშილის მიერ შიშილობის შეწყვეტის მტკიცებულებად იყო წარმოდგენილი<sup>39</sup>.

2021 წლის 8 ნოემბერს, მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ სააკაშვილი აღარ იმყოფებოდა რუსთავის პენიტენციურ დაწესებულებაში და გადაყვანილი იყო სხვა ტერიტორიაზე. ინფორმაციის გავრცელებიდან თითქმის საათნახევრის შემდეგ სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა დაადასტურა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების პრევენციის მიზნით და მომატებული საფრთხეებიდან გამომდინარე, მიხეილ სააკაშვილი რუსთავის მე-12 პენიტენციური დაწესებულებიდან გადაიყვანეს გლდანის N18 ბრადებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში<sup>40</sup>. ადვოკატებისა და ოჯახის

<sup>37</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/31VYp8j>

<sup>38</sup> იხ. არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართვა ვეროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტს: <http://www.hrc.ge/314/geo/>

<sup>39</sup> სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებული კადრები: <https://www.facebook.com/watch/?v=1240785649667305>

<sup>40</sup> იხ. სპეციალური პენიტენციური სამსახურის განცხადება:

<https://www.facebook.com/moc.gov.ge/photos/a.381689191907118/4495903583818971/>

წევრების განცხადებით, მათ არ ჰქონდათ ინფორმაცია სააკაშვილის რუსთავის ციხიდან გაყვანის შესახებ.

მიხეილ სააკაშვილის N18 დაწესებულებაში გადაყვანამდე, 2021 წლის 24 ოქტომბერს, სახალხო დამცველის რწმუნებულებმა საქართველოს შესამე პრემიერის შესაძლო მიღებისთვის N18 დაწესებულების მზადყოფნის ხარისხი შეამოწმეს. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებაში არსებული ვითარება, სამედიცინო უზრუნველყოფის კუთხით, სრულფასოვნად არ შეესაბამება ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფის მიერ გაცემულ 2021 წლის 23 ოქტომბრის დასკვნასა და რეკომენდაციებს, ასევე არსებობს გარკვეული რისკები უსაფრთხოების თვალსაზრისით. N18 დაწესებულების ადმინისტრაციასთან და სამედიცინო პერსონალთან გასაუბრებით, ასევე, ინფრასტრუქტურისა და სამედიცინო აღჭურვილობის დათვალიერებით დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია პატიმართა (მათ შორის - მოშიშმიდევების) სამედიცინო საჭიროებების მიწოდებისთვის საჭირო რესურსები. თუმცა, უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის სამედიცინო საჭიროებებთან დაკავშირებით ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფის მიერ გაცემული დასკვნა ითვალისწინებს გარკვეული სამედიცინო პროცედურების ჩატარებას, რაც სამწუხაროდ N18 დაწესებულებაში შეუძლებელია<sup>41</sup>.

2021 წლის 4 ნოემბერს სახალხო დამცველის რწმუნებულებმა საქართველოს შესამე პრემიერის, მიხეილ სააკაშვილის შესაძლო მიღებისთვის N18 დაწესებულება კიდევ ერთხელ შეამოწმეს. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა კონსილიუმის ახალ დასკვნებში (2021 წლის 3 ნოემბრისა და 2021 წლის 28 ოქტომბრის) მითითებულ სამედიცინო სტანდარტებთან დაწესებულების შესაბამისობის ხარისხის მონიტორინგი. შემომწმა, თუ რა ცვლილებები განხორციელდა დაწესებულებაში სახალხო დამცველის რწმუნებულების წინა, 2021 წლის 24 ოქტომბრის ვიზიტის შემდეგ<sup>42</sup>, რომ დაწესებულებაში არსებული ვითარება, სამედიცინო უზრუნველყოფის კუთხით, სამწუხაროდ, სრულად ისევ არ შეესაბამება ექიმთა მულტიფუნქციური ჯგუფის მიერ გაცემულ 2021 წლის 3 ნოემბრისა და 28 ოქტომბრის დასკვნებსა და რეკომენდაციებს [...] შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილს ვერ მიაწვდიან კონსილიუმის დასკვნით განსაზღვრულ ყველა საჭირო სამედიცინო სერვისს.

აგრეთვე, სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ N12 პენიტენციური დაწესებულების კატეგორიის პატიმრის მოთავსება ისეთ დაწესებულებაში, სადაც მას სხვა პატიმრებთან შესაძლოა, ჰქონდეს გადაკვეთა, წარმოშობს როგორც N18, ისე N8 დაწესებულების დემორგანიზაციისა და უსაფრთხოების რისკებს. შესაბამისად, მიხეილ სააკაშვილის პირადი უსაფრთხოებისა და მისთვის ღირსების შესაბამისი პირობების შექმნის საკითხი ვერ იქნება

<sup>41</sup> იხ. სახალხო დამცველის განცხადება: <https://bit.ly/30CLHL9>

<sup>42</sup> იხ. სახალხო დამცველის განცხადება: <https://bit.ly/3kKuAxR>

უმრუნველყოფილი.

მიუხედავად გემოლანიშნულისა, 2021 წლის 8 ნოემბერს, მიხეილ სააკაშვილი ძალის გამოყენებით, მოტყუებით<sup>43</sup>, მოშიმშილე პატიმრის მიმართ მოპყრობისა და პატიმრის ინფორმირებული თანხმობის პრინციპების სრული იგნორირებით გადაიყვანეს N18 დაწესებულებაში. ასევე, ხაზგასასმელია, რომ მიხეილ სააკაშვილმა არაერთხელ განაცხადა კატეგორიული უარი N18 დაწესებულებაში მკურნალობაზე<sup>44</sup>.

მიხეილ სააკაშვილის N18 დაწესებულებაში გადაყვანიდან მეორე დღესვე, სახაღბო დამცველმა გაავრცელა განცხადება, რომელშიც კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ „N18 სამკურნალო დაწესებულება ვერ აკმაყოფილებს კონსტიტუციის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, ასევე, დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილის მოთავსება ცალსახად არღვევს სახელმწიფოს მიერ აღამიანის ღირსების პატივისცემის ვალდებულებას. შესაბამისად, სახაღბო დამცველი მოუწოდებს იუსტიციის მინისტრს/პენიტენციურ სამსახურს, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დაუყოვნებლივ იქნეს გადაყვანილი არღვენატიურ სამედიცინო დაწესებულებაში“.

N18 დაწესებულებაში შესახლებისას, მიხეილ სააკაშვილი ასევე გახდა სხვა პატიმრების მხრიდან სიტყვიერი შეურაცხყოფის ობიექტიც, რისი ამსახველი კადრებიც მედიასაშუალებების მიერ გასაჯაროვდა<sup>45</sup>. ამავე დროს, პატიმრების მხრიდან სიტყვიერ აგრესიას განგრძობადი და პერმანენტული ხასიათი აქვს და იგი მიმართულია არა მხოლოდ პატიმარ სააკაშვილის, არამედ ყველა იმ პირის მიმართ, რომელიც მის მოსანახლებლად შედის დაწესებულებაში, მათ შორის - სახაღბო დამცველის მიმართაც. ნინო ღომჭანიას განცხადებით, იგი სრულიად შეფუთული შევიდა ციხეში, მაგრამ პატიმრები მის გვარსაც სკანდირებდნენ<sup>46</sup>. ის გარემოება, რომ პენიტენციური სამსახური არც კი ცდილობს პატიმრების მხრიდან აგრესიის აღკვეთას, იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ შესაძლოა, ეს მოვლენები ხელისუფლების მიერ იყოლ მართული.

2021 წლის 9 ნოემბერს სააკაშვილის ციხის საავადმყოფოში გადაყვანას გამოეხმაურა საერთაშორისო ორგანიზაცია Amnesty International-ი, რომელმაც მომხდარი ღირსების შეღახვად, პირადი ცხოვრების ხელყოფად და სათანადო სამედიცინო დახმარების გაუწევლობად შეათასა და აღნიშნა, რომ ეს არა

<sup>43</sup> იხ. მიხეილ სააკაშვილის წერილი, რადიო „თავისუფლება“:

<https://www.radiotavisupleba.ge/a/31551875.html>

<sup>44</sup> ინფორმაცია სრულად: <https://mtavari.tv/news/61169-mikheil-saakashviliis-pozitsiaa-rom-ar-cava>

<sup>45</sup> იხ. გლდანის ციხის პატიმრების აგრესია მიხეილ სააკაშვილის მისამართით [ვიდეო], მთავარი არხი. <https://bit.ly/3GFjy5x>

<sup>46</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://bit.ly/3IY9WVA>

მხოლოდ შერჩევით მართმსაჯულებას არამედ პოლიტიკურ შურისძიებას ჰგავს<sup>47</sup>.

2021 წლის 10 ნოემბერს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დროებითი ღონისძიება გამოსცა სააკაშვილის საქმეზე<sup>48</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ 10 ნოემბრის დროებითი ღონისძიების ფარგლებში მიხეილ სააკაშვილს დაჟინებით სთხოვა (ინგლ. Urged) შიმშილობა შეენწყვიტა. ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს მთავრობას დაეკისრა ვადლებულება, სასამართლოსთვის მიეწოდებინა ინფორმაცია ექსპრეზიდენტის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და ციხის საავადმყოფოში მისთვის განუღო სამედიცინო მომსახურებაზე; ასევე, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყო პენიტენციურ დაწესებულებაში სააკაშვილის უსაფრთხოება და უნდა გაუწიოს მას შესაბამისი სამედიცინო მომსახურება შიმშილობის დასრულების შემდგომ გამოჯანმრთელების პერიოდში.

2021 წლის 10 ნოემბერს გავრცელდა ძაღადობისა და წამების მსხვერპლთა ფსიქოგაბრიტაციის ცენტრ „ემპათიის“ ექსპერტთა ჯგუფის განცხადება, რომლის თანახმად, მიხეილ სააკაშვილი საპატიმრო დაწესებულებებში ყოფნისას დაექვემდებარა სხვადასხვა სახის ღირსების შემლახავ მოპყრობას, ფსიქოლოგიურ ზეწოლას, ხოლო მე-18 დაწესებულებაში გადაყვანისას დაექვემდებარა როგორც ფსიქოლოგიურ წამებას, ასევე ფიზიკურ წამებას და არანებაყოფლობითი სამედიცინო ინტერვენციის მცდელობას, რამაც პაციენტს უარი ათქმევინა სამედიცინო მომსახურებაზე, რაც რისკის ქვეშ აყენებს მის სიცოცხლეს და საჭიროებს დაუყოვნებელ ზომებს, პაციენტის სხვა სამოქალაქო კლინიკაში გადაყვანის სახით.

2021 წლის 11 ნოემბერს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა გაავრცელა მიხეილ სააკაშვილის სამკურნალო დაწესებულებაში ძალმომრეობით შეყვანის კადრების ნაწილი, რაც მაღალი საზოგადოებრივი ინტერესით ახსნა<sup>49</sup>. სახანძრო დამცველის შეფასებით, იუსტიციის სამინისტრომ/სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა N18 სამედიცინო დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილის მისი ნების საწინააღმდეგოდ, ძარის გამოყენებით შესახლების ამსახველი კადრების გავრცელებით პატიმრის პატივის, ღირსებისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება დაარღვია<sup>50</sup>.

2021 წლის 11 ნოემბერს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის

<sup>47</sup> იხ. Amnesty International-ის განცხადება:

[https://twitter.com/amnesty/status/1458068111547117572?ref\\_src=twsrc%5Etfw&fbclid=IwAR27AEo25iSj2DpDh41F1mB4FiM33bMkNGRCGweCwjUHTg87JVqjD3CHS-I](https://twitter.com/amnesty/status/1458068111547117572?ref_src=twsrc%5Etfw&fbclid=IwAR27AEo25iSj2DpDh41F1mB4FiM33bMkNGRCGweCwjUHTg87JVqjD3CHS-I)

<sup>48</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება დროებითი ღონისძიების გამოცემის შესახებ: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31555455.html>

<sup>49</sup> იხ. სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებული კადრები. <https://bit.ly/3sc2KyS>

<sup>50</sup> იხ. სახანძრო დამცველის განცხადება: <https://bit.ly/3GKz0NA>

განცხადება<sup>51</sup> გავრცელდა, რომლის თანახმად, უწყებაში მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიმართ განხორციელებული შესაძლო არაადამიანური მოპყრობის ფაქტზე, ხოლო „იმ პირობებში, როცა სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისთვის ამ დრომდე არ დაუდასტურებია ასეთი ჩანაწერების არსებობის ფაქტი და, შესაბამისად, არ მომხდარა სასამართლო განჩინების საფუძველზე მათი გამოთხოვა, სპეციალური პენიტენციური სამსახურისა და იუსტიციის სამინისტროს მხრიდან ამ კადრების გასაჭარობა (რაც ასევე წარმოადგენს მტკიცებულებას სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეზე), საფრთხეს უქმნის ეფექტიანი გამოძიების ჩატარებას“.

2021 წლის 20 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა უკიდურესად გაუარესდა და გონება დაკარგა, იგი გდანის #18 სამკურნალო დაწესებულებიდან გორის სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს<sup>52</sup>.

სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ქმედებები, რაც პირველ რიგში, გამოიხატება მოშიშმძივე პატიმრის და პაციენტის უფლებების უხეშ დარღვევაში, შესაძლოა, შეფასდეს, როგორც პატიმრის არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა. ხელისუფლება, ასევე, არ უზრუნველყოფს მიხეილ სააკაშვილის დასწრებას მის ყველა სასამართლო სხდომაზე, რაც ერთგული და საერთაშორისო სამართლის დარღვევას წარმოადგენს, ვინაიდან ბრალდებულს აქვს სამართლიანი სასამართლოს უფლება, რაც მოიცავს სასამართლო სხდომებზე პირადად დასწრების შესაძლებლობას, თუ კი ის ამას მოითხოვს.

2021 წლის 12 ოქტომბერს, გავრცელდა არასამთავრობო ორგანიზაციათა ერთობლივი განცხადება, რომლის თანახმად, მიხეილ სააკაშვილის მიმართ იკვეთება პოლიტიკურად მოტივირებული მართლშეწყობა. ამის მაგალითად მითითებულია მიხეილ სააკაშვილის საქმეზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის რამდენიმე განცხადება, რითაც იგი ღიად და არაორაზროვნად ადასტურებს, რომ საქართველოს მესამე პრეზიდენტის მსჯავრდება არის პოლიტიკური შინაარსის, განპირობებულია მმართველი პოლიტიკური ძალის გადაწყვეტილებით და კავშირი არ აქვს მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მართლშეწყობების განხორციელებასთან. ასევე, ორგანიზაციების შეფასებით, წლების განმავლობაში, მათ შორის, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში ყოფნისას, მართლშეწყობების სისტემა სამართლებრივი სახელმწიფოსა და კანონის უზენაესობის მინიმალურ მოთხოვნებსაც კი ვერ პასუხობდა. ძალიან ხშირად, მმართველი პოლიტიკური ძალა სრულად უგულებელყოფდა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტიკას

<sup>51</sup> იხ. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის განცხადება: <https://bit.ly/3IYdyqC>

<sup>52</sup> იხ. ინფორმაცია სრულად: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31570227.html>



და რეკომენდაციებს მართლმსაჯულების სისტემაში არსებული სისტემური ხარვეზებისა და პოლიტიკური მართლმსაჯულების რისკების თაობაზე. არაერთი საკანონმდებლო ცვლილებისა და ე.წ. რეფორმის მიუხედავად, სასამართლო ხელისუფლება კვლავ პოლიტიკების მაღალი ხარისხით გამოირჩევა, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება არ ერიდება პოლიტიკური გავლენების გაძლიერებას ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოზე<sup>53</sup>.

2021 წლის 13 ოქტომბერს ადამიანის უფლებათა ცენტრმა გაავრცელა განცხადება ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პატიმრობისა და მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე, რომელშიც სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგებიცაა მითითებული. შეიძლება ითქვას, რომ გამოკვეთილია რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა. კერძოდ: მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმეების სამართალწარმოება გაჭიანურებულია და ხელყოფილია ბრალდებულის უფლება სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებისა და გონივრულ ვადაში საქმის განხილვის თაობაზე, რაც ეწინააღმდეგება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს და სახელმწიფოს მიერ კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს; ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში, რომელთა წარმოებაც თითქმის 7 წელია დაწყებულია, წლების განმავლობაში პრობლემად რჩება სასამართლო სხდომების გაჭიანურება, რაც მიანს აყენებს სასამართლო სისტემის რეპუტაციას, მართლმსაჯულების ეფექტიანობას, ზოგადად, მის მიმართ საზოგადოების ნდობას და არღვევს გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების მოთხოვნას (გონივრულ დროში გასამართლების უფლება ათავისუფლებს სასამართლო პროცესის მოლოდინში მყოფ პირებს ხანგრძლივი გაურკვევლობისგან. გარდა ამისა, ეს უფლება ბრალდებულის თავისუფლების შემზღუდველი იმ ღონისძიებების მინიმუმაციას უწყობს ხელს, რომლებიც სასამართლო განხილვის მიზნებისთვის გამოიყენება); მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის საქმეთა არსებითი განხილვის შეყოვნებები ხელს უწყობს სასამართლო პროცესის გაჭიანურებას და პოტენციურ ნეგატიურ გემოქმედებას ახდენს სწრაფი მართლმსაჯულების უფლებაზე; ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან, სააკაშვილის დამნაშავედ ცნობის შესახებ საზოგადოებრივი ამრის ფორმირების მიზნით, სასამართლო განაჩენის გამოტანამდე, მუდმივად ვეთდება სხვადასხვა სახის განცხადება, რომლის მიზანია მიხეილ სააკაშვილის დისკრედიტაცია და რითაც ირღვევა უდანაშაულობის პრეზუმფცია<sup>54</sup>.

<sup>53</sup> იხ. განცხადება სრულად: <http://www.hrc.ge/291/geo/?fbclid=IwAR0FavVQBKvD-rueMRcCv-WtLXVcStV5Gwu5Fk509VAur1VkBwpHgFT1dM>

<sup>54</sup> იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრის განცხადება მიხეილ სააკაშვილის პატიმრობისა და მის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი დევნის თაობაზე: <http://www.hrc.ge/292/geo/>

## გასამართლების უფლება გონივრულ ვადაში

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორჩევისას, ალჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ<sup>55</sup>.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის თანახმად ვი, ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საქმის სამართლიანი და დროული განხილვის უფლება უზრუნველყოფილია. სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს საქმის გონივრულ ვადებში განხილვის უფლებას, რაც თავის მხრივ, აისახება სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და გონივრულად სწრაფ მართლმსაჯულებაზე. აგრეთვე, ევროპის ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, სახელმწიფოს აკისრებს ვადებულებას, უზრუნველყოს მოსამართლეები ყველა საშუალებით, რაც აუცილებელია მათთვის დაკისრებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულების, კერძოდ - საქმეთა გონივრულ ვადაში განხილვისათვის (ზოგადი პრინციპი 1.6).

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ბრალდებულის უფლებას სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებაზე, მაგრამ ამ უფლებაზე უარის თქმა შესაძლებელია დაცვის სათანადოდ მოსამზადებლად<sup>56</sup>. იგი აგრეთვე ავადლებულებს სასამართლოს, პრიორიტეტულად მიიჩნიოს საქმეები, სადაც ბრალდებულები პატიმრობაში იმყოფებიან<sup>57</sup>.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, გონივრულ დროში გასამართლების უფლება ათავისუფლებს სასამართლო პროცესის მოლოდინში მყოფ პირებს ხანგრძლივი გაურკვევლობისგან. ამასთან, ეს უფლება ბრალდებულის თავისუფლების შემზღვეველი იმ ღონისძიებების მინიმუმზაციას ნიშნობს ხელს, რომლებიც გამოიყენება სასამართლო განხილვის მიზნებისთვის. რაც შეეხება იმას, თუ რა არის გონივრული ვადა, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითვალისწინებს ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორიცაა - საქმის სირთულე, განმცხადებლისა და შესაბამისი ადვოკატის რაობის და სასამართლო ხელისუფლების ქცევები<sup>58</sup>.

<sup>55</sup>იხ. ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 6(1): <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>

<sup>56</sup>იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8(2) მუხლი. <https://bit.ly/37q4M2e>

<sup>57</sup>იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8(3) მუხლი. <https://bit.ly/37q4M2e>

<sup>58</sup>იხ. პრეტო და სხვები იტალიის წინააღმდეგ, ECtHR, 8 დეკემბერი, 1983, პარ. 31-37, პედერსენი და ბაღსგაანდი დანიის წინააღმდეგ, ECtHR, 17 დეკემბერი 2004, პარ. 45 და იხ. აგრეთვე ზოგადი

საანგარიშო პერიოდში გამოვლინდა პრობლემები გონივრულ ვადაში გასამართლების უფლების კუთხით. ზოგიერთი საქმე გადაიღო არაგონივრულად ხანგრძლივი დროით. ზოგ გადაღებულ საქმეში ფიგურირებდნენ პატიმრობაში მყოფი ბრალდებულები. საქმის განხილვის დაყოვნებას ან განხილვის გადაღებას, ზოგიერთ შემთხვევაში, ადგილი ჰქონდა ბრალდების მხარის მოქმედებისა თუ უმოქმედობის მიზეზით, ნაწილის სასამართლო განხილვის გადაღება ხდებოდა დაცვის მხარის, გამონაკლის შემთხვევაში კი - სასამართლოს ინიციატივით, სხვადასხვა მიზეზზე მითითებით<sup>59</sup>. ამავდროულად, განსაკუთრებით უარყოფით ტენდენციას წარმოადგენს ასეთ საქმეებზე სასამართლო სხდომების ინტენსიურად ჩანიშვნა წინასაარჩევნო პერიოდში.

გემოთ აღწერილი შემთხვევები პოტენციურ შემოქმედებას ახდენენ სწრაფი მართლმსაჯულების უფლებაზე, რადგან ერთმანეთზე მიყოლებული შეყოვნებები და პროცესის გადატანა ხელს უწყობს მის გაჭიანურებას. თუმცა, აღსანიშნია, რომ არ არსებობს დადგენილი წესი, თუ რა ითვლება გონივრულ ვადად. ზოგადად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო გონივრული ვადის გადაჭარბებად მიიჩნევს იმ შემთხვევებს, როდესაც საქმის წარმოების ხანგრძლივობამ ერთ ინსტანციაში გადააჭარბა სამ წელიწადს, ორ ინსტანციაში - ხუთ წელიწადს და სამივე ინსტანციაში - ექვს წელიწადს<sup>60</sup>.

## უდანაშაულობის პრეზუმფცია

ადამიანის უფლებების დაცვის ისეთი საერთაშორისო ინსტრუმენტები, როგორცაა UDHR<sup>61</sup>, ICCPR<sup>62</sup> და ECHR<sup>63</sup> მოითხოვენ, რომ ყველა ადამიანს, ვისაც ბრალი დაეღო დანაშაულში, „აქვს უფლება, ითვლებოდეს უდანაშაულოდ, სანამ იგი არ იქნება ცნობილი ბრალდებულად კანონის თანახმად[...]“<sup>64</sup>. უდანაშაულობისა და თავისუფლების პრეზუმფცია ასევე დაკრულია ევროპის კავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის მე-6 და 48-ე მუხლებით, ადამიანის

კომენტარი No.32, ციტატა ნაშრომიდან, შენ. 113, პარ. 35

<sup>59</sup> **მაგალითად:** ბეჟან ღორთქიჯანიძის საქმე; ბესიკ თაბლიანის საქმე; ნიკალოზ მეღიას და მურაბ ადვიშვილის საქმე მამუკა ხაშირადის, ბადრი ჯაფარიძის და ავთანდილ წერეთლის საქმე; ივრი მეღაშვილის და ნატალია ილიჩოვას (ე.წ. კარტოვრაფების) საქმე; გიორგი მუშაძის საქმე; მიხეილ სააკაშვილისა და თეიმურაზ ჯანაშიას საქმე; ირაკლი ოქრუაშვილი საქმე; კობა კოშაძის საქმე, რომლის არსებითი განხილვის სხდომა 1 წელზე მეტია, არ ჩანიშნულა; გიორგი რურუას საქმე (მეორე ინსტანცია); დევიან იმერლიშვილის, გიორგი უსიაშვილის და მინდია ამბარნიშვილის საქმე (ყოფილი სასაგარეო უფროსის საქმე); გიორგი უგუდავას საქმე.

<sup>60</sup> იხ. სასამართლო პროცესის მონიტორინგის ანგარიში, ეუთო, დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ბიურო, ვარშავა, 2014; ხედმისანვლოშია: <https://goo.gl/13yLBz>

<sup>61</sup> იხ. Universal Declaration of Human Rights, მუხლი 11 (1). <https://bit.ly/3oAiJlC>

<sup>62</sup> იხ. International Covenant on Civil and Political Rights, მუხლი 14 (2). <https://bit.ly/3gyFhAo>

<sup>63</sup> იხ. European Convention on Human Rights, მუხლი 6(2). <https://bit.ly/3gp9925>

<sup>64</sup> იხ. Universal Declaration of Human Rights, მუხლი 1(1). <https://bit.ly/3qB9sLM>

უფლებათა ამერიკული კონვენციის მე-7 მუხლით, ნებისმიერი ფორმით დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირთა დაცვის პრინციპებით და სხვა. საქართველოს კონსტიტუცია მიუთითებს, რომ ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით<sup>65</sup>. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი იმეორებს ამ პრინციპებს და აცხადებს, რომ ადამიანის ღირსებისა და უდანაშაულობის პრეზუმფციის ზოგადი პრინციპების პატივისცემა უნდა აისახოს სასამართლო პროცედურების ყველა ასპექტში<sup>66</sup>.

უდანაშაულობის პრეზუმფცია განსაზღვრავს ბრალდებულის სამართლებრივ სტატუსს, როგორც სისხლის სამართალწარმოების, ასევე ყველა სხვა სამოგადეობრივ ურთიერთობაში, რომელშიც ის მონაწილეობს. მისი მოქმედება იწყება სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებით და გრძელდება მთელი სამართალწარმოების განმავლობაში *res judicata* განაჩენის დადგენამდე. წინააღმდეგ შემთხვევაში, წინასწარ ჩამოყალიბებული მოსაზრების არსებობამ შეიძლება, პროცესი და სასამართლო განხილვა ფორმალური გახადოს. შესაბამისად, სასამართლო თავის უფლებამოსილებას უნდა ახორციელებდეს ბრალდებულის უდანაშაულობის რწმენით იმისათვის, რომ ბრალდებულს ჰქონდეს თავის დაცვის სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა<sup>67</sup>.

პრეზუმფციის *ratione personae* ვრცელდება როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირებზე და მისი დაცვის ვადებულება ვეისრება, როგორც პროცესის მწარმოებელ ორგანოს და ბრალდების მხარეს, ისე პროცესის მონაწილეებს, მედიას, ხელისუფლების ყველა შტოს და დონის წარმომადგენელს, ასევე გავლენიან აქტორებს, რომლებმაც სისხლისსამართლებრივი დევნის ნებისმიერ ეტაპზე თავი უნდა შეიკავონ ისეთი განცხადებებისაგან, რაც შეიცავს წინასწარ დასკვნებს სასამართლო განხილვის შედეგების შესახებ<sup>68</sup>.

მონიტორინგის პერიოდში, სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო პროცესების პარალელურად, სახელმწიფო თანამდებობის პირების მხრიდან, გავრცელდა ისეთი განცხადებებიც, რომლებშიც პირდაპირ მიანიშნებდნენ

<sup>65</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტი. <https://bit.ly/37Pt0TY>

<sup>66</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მუხ. 4(1), 5(1), 5(2) და 5(3). <https://bit.ly/37q4M2e>

<sup>67</sup> იხ. *Barbera, Messegue and Jabardo v. Spain*, ECtHR, 13/06/1994, §77; *Janosevic v. Sweden*, ECtHR, 23/07/2002, §97

<sup>68</sup> იხ. *Kakabadze and others v Georgia*, ECtHR 02/01/2013, §77; *OSCE/ODIHR*, სასამართლო პროცესების მონიტორინგის ანგარიში, საქართველო. 09/12/2014, §96; იხ. ასევე *Ilgar Mammadov v Azerbaijan*, ECtHR, 22/05/2014, §125- 128; *Ismoilov and others v Russia*, ECtHR, 24/04/2008, §160-170; *Sead., Böhmer v. Germany*, ECtHR, 03/10/2002, §54, 56; *Nešák v. Slovakia*, ECtHR 27/02/2007, §88-89.

ბრადღებუდი პირების დამნაშავეობაზე ან/და სხვა შესაძლო დანაშაულში მონაწილეობაზე. ამასთან, რამდენიმე საქმეზე, სასამართლო პროცესების პარალელურად, მედიაში, ხელისუფლების წარმომადგენლები უთითებდნენ ბრადღებულების სხვა სისხლის სამართლის საქმეზე ან საქმეებზე წარსულში ნასამართლობის შესახებ. მსგავსი განცხადებები, ცალკეულ პოლიტიკოსთა მხრიდან, შესაძლებელია, ბრადღებულის დაუსაბუთებლად დემონიზაციის მცდელობად და ამ გზით - მართლმსაჯულებაზე ზემოქმედებად შეფასდეს.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ უდანაშაულობის პრეზუმფცია მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს ან მონაწილე პირების მიერ გავრცელებულ განცხადებებს, არამედ ეხება სახელმწიფო პირებსაც, თუ მათი განცხადებების ნიდაგზე საზოგადოებას შეიძლება, შეექმნას განცდა, რომ ეჭვმიტანილი დამნაშავეა და შესაბამისად, გამოიწვიოს ფაქტების წინასწარი შეფასება, რაც კომპეტენტური სასამართლო ორგანოს პრეროგატივაა<sup>69</sup>. თუ სახელმწიფო თანამდებობის პირის განცხადება სასამართლო განაჩენის დადგომამდე მიანიშნებს, რომ ბრადღებუდი დამნაშავეა, ეს ჩაითვლება უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევად<sup>70</sup>.

## შერჩევითი სამართალი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით, თანასწორობა გულისხმობს ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვას<sup>71</sup>. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია კი განმარტავს, რომ ყველას გააჩნია თანაბარი დაცვა დისკრიმინაციის წინააღმდეგ<sup>72</sup>. საქართველოს კონსტიტუცია, კანონმდებლობა და სასამართლო შრაქტიკა იზიარებს ევროსასამართლოს შრაქტიკას და თავადაც ამკვიდრებს სტანდარტებს კონსტიტუციის მე-14 მუხლის დაცვის ჭრილში<sup>73</sup>. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის ჩამონათვადი გულისხმობს თანასწორობას არა მხოლოდ ჩამოთვლილ შემთხვევებში, არამედ ყველა სხვა ნიშნის მიხედვით, სადაც პირები შეიძლება, აღმოჩნდნენ არსებითად თანასწორ მდგომარეობაში. თუმცა, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი გულისხმობს მხოლოდ იურიდიულ და არა ფაქტობრივ თანასწორობას და როგორც სამართალშემოქმედების, ისე სამართალგამოყენების პროცესში

<sup>69</sup> იხ. ფატულავეი აზერბაიჯანის წინააღმდეგ, ECtHR, 22 აპრილი 2010, პარ. 159-160.

<sup>70</sup> იქვე; პარ. 159-160.

<sup>71</sup> იხ. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი. <https://bit.ly/3gsbDN5>

<sup>72</sup> იხ. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 1948 წლის 10 დეკემბერი. <https://bit.ly/33U0FuG>

<sup>73</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი. <https://bit.ly/38KdCNF>

სახელმწიფო სწორედ ამ პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს<sup>74</sup>.

შესაბამისად, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპები მოითხოვს, სახელმწიფოს ყველა დარღვევაზე ჰქონდეს ადეკვატური რეაგირება და დაიწყოს შესაბამისი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები, ობიექტურად, მიუკერძოებლად და გამჭვირვალედ. ყოველი ამგვარი რეაგირება კონსტიტუციისა და საერთაშორისო სტანდარტების, კანონის მოთხოვნათა მკაცრი დაცვით, დასაბუთების მაღალი სტანდარტით და საზოგადოების მაქსიმალური ინფორმირებულობით უნდა განხორციელდეს.

ყოველი ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების სისხლისსამართლებრივი დევნის სამართლებრივად ხარვეზიანი, მძიმე დარღვევების მქონე პრაქტიკა, 2019 წლის 20-21 ივნისის და 2021 წლის 5-6 ივლისის მოვლენებთან დაკავშირებული საქმეებისა და საპროტესტო აქციებზე დაკავებულ პირთა საქმეების შესწავლისას იდენტიფიცირებული პირობებები, საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების უგულებელყოფა, ასევე - ადამიანის უფლებების მძიმე დარღვევები, შესაძვე პირთა და პოლიციელების მხრიდან გამოვლენილი კანონდარღვევების/მათი პასუხისმგებლობის მიმართ უმოქმედობის შემთხვევები, არენს კითხვებს სახელმწიფოს მხრიდან შეჩვენით მიდგომასა და კონკრეტულ პირთა მიმართ სისხლის სამართლის დევნის მიზანმიმართულად დაწყების თაობაზე, რაც მათი დასჯის სურვილსა და დაპატიმრებაში გამოიხატება.

## **ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის პირობება**

ადვოკატისა და მისი კლიენტის - ბრალდებულის ურთიერთობა კონფიდენციალურია. კონფიდენციალურია ასევე მთელი ის ინფორმაცია, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა პირის შესახებ მის ბრალდებულად ცნობამდე. სსსკ-ის 43-ე მუხლის თანახმად, ასევე იკრძალება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან ბრალდებულისა და ადვოკატის ურთიერთობებში ჩარევა და ამ ურთიერთობების შეზღუდვა. ერთდერით, ნაწილობრივ შეზღუდვად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ სახელმწიფოს უფლებამოსილ ორგანოებს შეუძლიათ ვიზუალური დაკვირვება ამ ურთიერთობებზე ისე, რომ არ მოისმინონ საუბრის შინაარსი.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს დაცვის უფლებას<sup>75</sup>. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, „ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის, ასევე - მის მიერ არჩეული ადვოკატის ნებისმიერ დროს

<sup>74</sup> იხ. (ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; 22 აგვისტო, 2018 წ. <https://bit.ly/3nf6YRg>

<sup>75</sup> იხ. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტი. <https://bit.ly/36YsfsC>

შეცვლის უფლება<sup>76</sup>. სისხლის სამართლის კონტექსტში, ადვოკატის ყოლის უფლება მოიცავს პირის მიერ არჩეული დამცველის წარმომადგენლობის უფლებისა და მისი ამ უფლებების შესახებ ინფორმაციის მიღების გარანტიას, აგრეთვე უფლებით გადასაცემ და მიიღოს ადვოკატისგან ინფორმაცია კონფიდენციალურად და ისარგებლოს უფასო ადვოკატის დახმარების უფლებით<sup>77</sup>.

ბრალდებულის უფლება - ჰქონდეს ადვოკატთან კონფიდენციალური ურთიერთობა, წარმოადგენს სამართლიანი სასამართლოს ერთ-ერთ ფუნდამენტურ ელემენტს, რომელიც გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის C ქვეპუნქტიდან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ბრალდებულის მიერ ადვოკატის მომსახურებით სარგებლობა დაკარგავს ყოველგვარ ამრსა და მნიშვნელობას, თუკი განხორციელდება ბრალდებულისა და ადვოკატის საუბარზე მეთვადყურება<sup>78</sup>. სასამართლო ამ კონტექსტში საუბრობს არა მხოლოდ ბრალდებულისა და ადვოკატის ვერბალურ, არამედ წერილობით კომუნიკაციაზეც.

საანგარიშო პერიოდში, ადვოკატსა და კლიენტს შორის კონფიდენციალურ და პრივილეგირებულ კომუნიკაციაში იდენტიფიცირებულია გარკვეული შეფერხებები. ახალი კორონავირუსის პანდემიის გავრცელების პირობებში, დისტანციური სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, ბრალდებულებისა და მათი ადვოკატების ცად-ცადვე ყოფნა უარყოფით გავლენას ახდენდა მათ შორის კონფიდენციალურ და პრივილეგირებულ კომუნიკაციაზე<sup>79</sup>. ამასთან, იყო შემთხვევა, როცა დისტანციური პროცესის დროს ადვოკატმა გამოთქვა სასამართლო სხდომის გადადების სურვილი, რადგან არ იყო უზრუნველყოფილი კონფიდენციალური კომუნიკაცია. ძირითადად, ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს არ ჰქონდათ ადვოკატთან პოზიციის შეჭერების შესაძლებლობა, რაც სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევად შეიძლება, შეფასდეს.

## დისტანციური წესით გამართული სასამართლო სხდომების ხარვეზები

საანგარიშო პერიოდში რამდენიმე სასამართლო სხდომა დისტანციურად ჩატარდა. სამართლიანი სასამართლოს უფლების ჭრილში, ზოგადად, მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა, კორონავირუსის პანდემიის გამო,

<sup>76</sup> იხ. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-5 ნაწილი. <https://bit.ly/3n2221V>

<sup>77</sup> იხ. სამართლიანი სასამართლოს უფლებების საერთაშორისო სამართლებრივი კრებული, ციტატა ნაშრომიდან, მენ. 7, გვ. 138. <https://bit.ly/2HPXgp2>

<sup>78</sup> იხ. S. v. Switzerland, ECtHR, 28/11/1991.

<sup>79</sup> მაგალითად, მიხეილ სააკაშვილის საქმეში ადვოკატები აღნიშნავენ, რომ დარღვეულია ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის უფლება.



დისტანციური წესით ჩატარებული სხდომები. ბრადეებულთა უმრავლესობისთვის ეს წარმოადგენდა ადვოკატთან კონფიდენციალური კომუნიკაციის შესაძლებლობაში ხელშემშდედ ფაქტორს.

ამასთან, 2020 წლის მსგავსად<sup>80</sup>, ტექნიკური ხარვეზების გამო, პრობლემას წარმოადგენდა მოწმეთა თუნდაც ვიზუალური აღქმა ან მათი საუბრის გარჩევა. თუკი ერთდროულად ორი ან მეტი პირი საუბრობდა, ხმა აღარ ისმოდა და პროცესის მონაწილეებს, მათ შორის - მოსამართლეებსაც, უწევდათ დასმული შეკითხვის გამეორება, რაც აჭიანურებდა და შეუძლებელს ხდიდა სხდომის გაგრძელებას. დაფიქსირდა ისეთი შემთხვევებიც, როცა სასამართლო სხდომის მონაწილეების ხმა მეორეებოდა ან/და გაუგებრად ისმოდა. ეს პრობლემა დღემდე მოუგვარებელი რჩება. ასევე, უმრავლეს შემთხვევაში, სასამართლო სხდომები იწყებოდა დაგვიანებით ან/და ხდებოდა მათი გადადება<sup>81</sup>.

რაც შეეხება მონიტორთა დასწრებას, ზოგიერთ სასამართლო სხდომაზე, როგორც დისტანციურად, ისე სასამართლო სხდომის დარბაზში დასწრებაც, ხშირად, მხოლოდ მას შემდეგ იყო შესაძლებელი, რაც ოფიციალურად, განცხადებით მიმართავდა ორგანიზაციის სასამართლო მონიტორი საქმის განმხილველ მოსამართლეს და ითხოვდა პროცესზე დასწრებას.

## **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლო მონიტორინგის მიგნებები**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლო სხდომების მონიტორინგისას დადგინდა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სამართალდამრღვევად ცნობისთვის კონკრეტული მტკიცებულებითი სტანდარტისა და მტკიცების ტვირთის არარსებობა განაპირობებს პირის სამართალდამრღვევად ცნობას მხოლოდ სამართალდარღვევის ოქმის და ამავე ოქმის შემდგენი პოლიციელის ზეპირი განმარტების საფუძველზე; სასამართლოს გადაწყვეტილებების უმრავლესობა დაუსაბუთებელია და შაბლონურ ხასიათს ატარებს; არ ხდება პირის ქმედების სუბსუმცია ნორმაში აღწერილ სამართალდარღვევასთან; სასამართლო ეყრდნობა მხოლოდ სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმების მონაცემებს და სასამართლო სხდომაზე ოქმის შემდგენი სამართალდამცავი პირის განმარტებას. ყველა მტკიცებულება მოპოვებულია ერთი ორგანოს/პირის მიერ

<sup>80</sup> იხ. სავარაუდოდ პოლიტიკურად მოტივირებული საქმეების სასამართლო პროცესების მონიტორინგი - შემაჯამებელი ანგარიში: <https://bit.ly/3InH7XJ>

<sup>81</sup> ადამიანის უფლებათა ცენტრის სასამართლო სხდომების მონიტორინგის ანგარიშები: 02.02.2021; 03.30.2021; 25.08.2021.



და მტკიცებულებათა ერთობლიობა მხოლოდ ფორმალურად არსებობს.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა შეისწავლა მონიტორინგის ქვეშ არსებული, თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების მიერ 2020-2021 წლებში განხილული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით (წვრილმანი ხუდიგნობა), 173-ე მუხლით (პოლიციელის კანონიერი მოთხოვნისადმი ან განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობა) და 174-ე (პრიმა) მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 14 საქმე. ადმინისტრაციული წესით დაკავება განხორციელდა ზემოაღნიშნულ 14 საქმეში. შესწავლილი 14 საქმიდან, მხოლოდ 5 საქმეზე შეწყდა ნაწილობრივ წარმოება სამართალდარღვევის არაარსებობის საფუძველით. თუმცა, დადგინდა სხვა მუხლების დარღვევა; დანარჩენ საქმეებში სამართალდარღვევის ფაქტი დადგინდა და გამოყენებული იქნა: 2 საქმეში - სიტყვიერი შენიშვნა, 11 საქმეში - ჯარიმა, ხოლო - 3 საქმეზე - პატიმრობა.

მოცემულ საქმეებში გამოიკვეთა საერთო სასამართლოების მიერ საქმეთა განხილვა კონსტიტუციით გარანტირებული უფლების დარღვევით, რასაც, პირველ რიგში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების ნორმატიული შინაარსი განაპირობებს.

## **ადმინისტრაციული დაკავებისა და ადმინისტრაციული პატიმრობის პრაქტიკა**

წინა წლების მსგავსად, საანგარიშო პერიოდში, სამართალდამცავი ორგანოები შეკრებისა და მანიფესტაციების უფლების საწინააღმდეგოდ აქტიურად განაგრძობენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული მექანიზმების აქციის მონაწილეთა მიმართ გამოყენებას. როგორც მონიტორინგისას გამოვლინდა, მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა დაკავება ძირითადად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე (*წვრილმანი ხუდიგნობა*), 173-ე (*სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის კანონიერი მოთხოვნისათვის დაუმორჩილებლობა*) და 150-ე (*თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯება*) მუხლების საფუძველზე ხდება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, წვრილმან ხუდიგნობად მიიჩნევა საზოგადოებრივ ადგილებში დანძლვა-გინება, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელი გადაკიდება და სხვა ამგვარი მოქმედება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ გადაცდომად მიიჩნევა სამსახურებრივი

მოვალეობის შესრულების დროს სამართაღმამცავი ორგანოს მუშაკის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართაღმამცავთა კოდექსი (150-ე მუხლი) თვითმმართველი ერთეულის იერსახის დამახინჯებად მიიჩნევს სხვადასხვა სახის წარწერების, ნახატების, სიმბოლოების თვითნებურ შესრულებას შენობათა ფასადებზე, ვიტრინებზე, ღობეებზე, სვეტებზე, ხე-ნარგავებზე; ასევე პლაკატების, დოკუმენტების, ბანერების განთავსებას ისეთ ადგილებზე, რომლებიც საამისოდ არ არის გამოყოფილი.

გემოალნიშნულ შემთხვევებში, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართაღმამცავთა კოდექსი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ დაკავებასა და ადმინისტრაციულ პატიმრობას. ადმინისტრაციული დაკავება უზრუნველყოფის ღონისძიებაა, ხოლო პატიმრობა ადმინისტრაციული გადაცდომისათვის დადგენილი ყველაზე მკაცრი სახედი. როგორც ადმინისტრაციული დაკავება, ასევე ადმინისტრაციული პატიმრობა არსებული ადმინისტრაციულ სამართაღმამცავთა კოდექსის პირობებში, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე სტანდარტებს არ შეესაბამება, საფრთხეს უქმნის პირის თავისუფლებისა და უსაფრთხოების და სამართლიანი სასამართლოს უფლებების დაცვას. ამას მოწმობს საანგარიშო პერიოდში გამართული საპროტესტო აქციებისა თუ სხვა სახის პოლიტიკური სახის შეკრებებისას, სამოგადეობრივი წესრიგის დარღვევისა და სამართაღმამცავთა კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისთვის, შსს-ს თანამშრომლების მიერ არაერთი დემონსტრანტისა თუ სამოქალაქო აქტივისტის ადმინისტრაციული წესით დაკავება/დაპატიმრება.

სასამართლო სხდომების მონიტორინგის დროს გამოვლენილი შემთხვევები მოწმობს, რომ სასამართლო სამართაღმამცავის დადასტურებას ახდენს ისე, რომ არ ამოწმებს პოლიციელის მოქმედების კანონიერებას. საუკეთესო შემთხვევაში, შემოწმება ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს. ამ დროს სასამართლო შემოიფარგლება მხოლოდ იმის დადგენით, აქვს თუ არა პოლიციას ზოგადად კონკრეტული მოქმედების განხორციელების უფლება და არ მსჯელობს, განსახილველ შემთხვევაში პოლიცია რამდენად სწორად იყენებს კანონით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ამგვარი პრაქტიკით, პოლიციელს ეძლევა შესაძლებლობა, აქციის მონაწილეებს დასაბუთების გარეშე შეუმლუდოს შეკრების ჩატარების ადგილისა და ფორმის არჩევის უფლება, აღკვეთოს მისი თავისუფლება და მის მიმართ არაღვეტიმურად გაატაროს მკაცრი ღონისძიებები.

## მტკიცებულებების გამოკვლევა და საქმის განხილვის პროცედურა

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ქვეშ არსებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სასამართლო განხილვის პროცესების უმრავლესობა ზედაპირული და ფორმალურია: სასამართლო პროცესზე მტკიცებულებათა გამოკვლევა არ ხდება; სამართალდამრღვევის ოქმის შემდგენი პოლიციელი მეპირად განმარტავს ოქმის შინაარსს; მოსამართლე მცირე ვადებში აცხადებს შეფარდებულ სახედებს; განხილვა ფორმალურ ხასიათს ატარებს, რასაც ადასტურებს განხილვის ხანგრძლივობაც, რაც ხშირად მხოლოდ რამდენიმე წუთი გრძელდება.

სასამართლო პროცესებზე მტკიცებულებებზე, ძირითადად, წარმოგვნილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დაკავების ოქმები, პოლიციელის პატაკი ან ახსნა-განმარტება უშუალოდ სასამართლო პროცესზე, რომელიც იმეორებს ოქმში დაფიქსირებულ მონაცემებს. ზოგჯერ მტკიცებულებად მოყვანილია მოწმეთა წერილობითი ახსნა-განმარტებები, ძირითადად - სხვა პოლიციელი მოწმეებისა. გამონაკლის შემთხვევებში გვხვდება ნეიტრალური მტკიცებულება - სამხრე კამერების ვიდეორჩანაწერი. ასეთის არსებობის შემთხვევაში კი, ვიდეორჩანაწერზე არსებული ინფორმაცია, ხშირად არ ასახავდა რეალურ ფაქტს. ერთეული შემთხვევების გარდა, შეუძლებელი იყო პირთა ამოცნობა და სამართალდარღვევის ფაქტის იდენტიფიცირება. მოწმეებზე კი ისეთი პოლიციელები იკითხებოდნენ, რომლებსაც საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა სამართალდარღვევის აღკვეთასა და პირთა დაკავებაში.

რაც შეეხება პოლიციის მოთხოვნისადმი ან განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობას, ხშირად არც სამართალდარღვევის ოქმში არ არის მითითებული და არც სასამართლო განხილვას, რა მოთხოვნა წაუყენა პოლიციელმა პირს. არ ხდება პოლიციელთა მოთხოვნის/განკარგულების კანონიერების/უკანონობის საკითხის გამოკვლევა. სასამართლოს მიერ წვრილმან ხუდიგნობაზე დასდება სიტყვიერი შეურაცხყოფა, დანძლვა, გინება უშვარი სიტყვებით ან უმისამართოდ, ყვირილი, ქუჩაში უცნაურ ხმამაღლა საუბარი და ყველა ასეთ შემთხვევაში, საერთო სასამართლოები არ მსჯელობენ, სიტყვიერი შეურაცხყოფით ირღვევა თუ არა საზოგადოებრივი წესრიგი.

ტენდენციურად, სასამართლო იზიარებს სამართალდარღვევის ოქმის შინაარსს და არ უთითებს და არ აფასებს კონკრეტულ მტკიცებულებებს<sup>82</sup>. სასამართლო ზოგადად ვარაუდობს, რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვით მოქმედებს და იგი

<sup>82</sup> ამ ტენდენციებზე ყურადღებას ამახვილებს საქართველოს სახალხო დამცველი სასამართლოს მეგობრის მოსაზრებაში: <https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1936>

სრულად იზიარებს მის მიერ წარმოდგენილფაქტობრივ გარემოებებს და გამოდახებული პოლიციელების ახსნა-განმარტებებს, ნეიტრალური მტკიცებულებებისა და დაცვის მხარის მიერ მიწოდებული ინფორმაციის შეფასების გარეშე.

## **სასამართლო გადაწყვეტილებების დაუსაბუთებლობა**

მონიტორინგის შედეგად დგინდება, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებში არ არის აღწერილი ის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები, რაც სასამართლოს მიერ სამართალდარღვევად იქნა მიჩნეული. სასამართლოს გადაწყვეტილებებში არ გვხვდება მსჯელობა ასეთი ქმედებების ბუნებისა და ხასიათის შესახებ. სასამართლო შეფასებების გარეშე მიუთითებს, რომ პირმა დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და პოლიციის კანონიერ მოთხოვნას არ დაემორჩილა, მაგრამ - კერძოდ რა ქმედებაში გამოიხატა ეს, სასამართლო არ უთითებს და არ აფასებს.

გარდა ამისა, პრობლემურია, დამატებითი კვალიფიკაციის არასწორად გამოყენების შემთხვევები. საქმეთა უმრავლესობაში, სამართალდამცველის მოწოდების მიუხედავად საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის განგრძობა მიიჩნევა არა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, არამედ იგი დამატებით კვალიფიკირდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით. ზოგადად, სასკ-ის 173-ე მუხლში იგულისხმება პოლიციის კანონით დადგენილი უფლება-მოვალეობებისადმი დაუმორჩილებლობა და საქმეში თუ არ არის საკმარისი ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლები, რაც დაადასტურებს რომელიმე კონკრეტული კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობას, იგი არ შეიძლება დამატებითი სასჯელის გამოყენების საფუძველი იყოს. რაც შეეხება მართლსაწინააღმდეგო ქცევის შეწყვეტის მოთხოვნის მიუხედავად საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის განგრძობას, ეს უკვე დამამძიმებელი გარემოებაა და დამოუკიდებლად კვალიფიკაციის საფუძველს არ წარმოადგენს.

ადმინისტრაციული სახელის გამოყენებისას, საქმეთა უმრავლესობაში, სასამართლო არ ასაბუთებს, რატომ იყენებს სახელს; მათ შორის, არ მსჯელობს დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების, სამართალდამრღვევის პიროვნული მახასიათებლების შესახებ. სასამართლო ფაქტობრივ გარემოებებზე ზოგადი მსჯელობით შემოიფარგლება. გარდა ამისა, სასამართლო არ მსჯელობს, რა კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებები განაპირობებს დამამძიმებელი გარემოების არსებობას ან სამართალდამრღვევს რა პიროვნული თვისებები ახასიათებს, რაც სახელის გამოყენებას მიზანშეწონილს გახდიდა. სასამართლო არ უთითებს იმ კონკრეტულ მტკიცებულებებს, რასაც ეს სასამართლოს გადაწყვეტილება

ეფუძნება.

## 19-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული „ამნისტიის შესახებ“ კანონი და პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები

2021 წლის 7 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა 2019 წლის 19-20 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით, მმართველის პარტიის - „ქართული ოცნების“ მიერ მომზადებული „ამნისტიის შესახებ“ კანონპროექტი მიიღო. „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის<sup>83</sup> თანახმად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან, სასჯელისგან და პირობითი მსჯავრისგან თავისუფლდება ყველა ის პირი, რომელთაც დანაშაული 2019 წლის 19-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით ჩაიდინა და ამნისტიის გავრცელებაზე უარი არ განუცხადებიათ. ის პირი კი, ვის მიმართაც ამნისტია გავრცელება, ნასამართლობის არმქონედ ჩაითვლება.

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებას ითვალისწინებდა 2021 წლის 19 აპრილის შეთანხმების დოკუმენტი სახელწოდებით - „სამომავლო გზა საქართველოსთვის“ („A way ahead for Georgia“), რომლის ერთ-ერთი საგანი პოლარიზებულ მართლმსაჯულებად აღქმულ საკითხებზე რეაგირებაა. შესაბამისი პუნქტის თანახმად, „საქართველოს პოლიტიკური სტაბილურობის ინტერესებიდან გამომდინარე და ამ შეთანხმების შესრულების მიზნით, ხელმოწერები ვადებულებას იღებენ, ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი კვირის ვადაში, ამნისტიის საშუალებით და/ან ისეთი ზომების მიღებით, რომელიც ანალოგიურ შედეგს გამოიღებს, რეაგირება მოახდინონ პოლიტიკებულ მართლმსაჯულებად აღქმულ ორ საქმეზე. კერძოდ, ამ შეთანხმების ხელმოწერიდან ერთი კვირის ვადაში, პარლამენტში წარმოდგენილმა პარტიამ უნდა დააინიციროს „ამნისტიის შესახებ“ კანონი, რომელიც 2019 წლის 19-21 ივნისის პროტესტებთან დაკავშირებულ ყველა დარღვევასა და დაკავებას შეეხება“<sup>84</sup>.

2021 წლის 27 აპრილს გაირკვა, რომ „ამნისტიის შესახებ“ კანონთან დაკავშირებით, მმართველ პარტიას - „ქართული ოცნებას“ ოპოზიციის პარლამენტში შესული ნაწილისგან პრინციპულად განსხვავებული მიდგომა ჰქონდა. კერძოდ, ოპოზიციის განცხადებით, ამნისტიის შესახებ კანონში, სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლები უნდა ყოფილიყო ჩამოწერილი, რასაც ამნისტია შეეხებოდა, ხოლო „ქართული ოცნება“

<sup>83</sup> იხ. საქართველოს კანონი „ამნისტიის შესახებ“.

[https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5199308?fbclid=IwAR02goE73nBsDw3PfeuRhMP3bxy3opEXn-InLjhuEQNgqg-8NXFj6ly\\_M&publication=0](https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5199308?fbclid=IwAR02goE73nBsDw3PfeuRhMP3bxy3opEXn-InLjhuEQNgqg-8NXFj6ly_M&publication=0)

<sup>84</sup> იხ. 'A way ahead for Georgia'. Proposal by President of the European Council Charles Michel to the representatives of Georgian polit: <https://bit.ly/3yntUEd>

აცხადებდა, რომ ამნისტია უნდა შეხებოდა ყველა მუხლს, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე, 144<sup>1</sup>-144<sup>3</sup> მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისა, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, წამებასა და დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას გულისხმობს.

2019 წლის 20-21 ივნისს საპოლიციო ძალების მიერ მშვიდობიანი დემონსტრაციის დაშლისას გამოყენებულმა არაპროპორციულმა ძალამ და მეთოდებმა აქციის მონაწილეთა უფლებების მასშტაბური დარღვევა გამოიწვია და აქციის მონაწილეთა დასჯის შთაბეჭდილება დატოვა. აქციის დასაშლელად გამოყენებული არაპროპორციული ძალის, დემონსტრანტთა დაკავებისა და შემდგომ პერიოდში სამართალდამცველთა მხრიდან გამოვლენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების, ჟურნალისტური საქმიანობის უკანონო ხელშეშლის და ამ საქმის გამოძიების არაეფექტიანობის გამო, შესაძლოა, საქმე გვექონდეს ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დაკავშირებული ნაწილების დარღვევასთან. ამ მუხლებით კი, საგამოძიებლო უწყებების მხრიდან, 19-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით, გამოძიება საერთოდ არ დაწყებულა.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა მოამზადა სამართლებრივი ანალიზი - „2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული საქმეები პოლიტიკური მართლმსაჯულება და სადავო ამნისტია“<sup>85</sup>. ცენტრი ხაზგასმით განმარტავდა, რომ დაუშვებელი იყო ამნისტიის/შენიშვნების გამოყენება სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით, რასაც ადგილი ჰქონდა 20-21 ივნისის აქციის დაშლის დროს.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით, ამნისტიის გამოყენება იმ პირებთან მიმართებით, რომლებმაც არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის დანაშაულები ჩაიდინეს (იმის მიუხედავად, ეროვნულ დონეზე გამოძიება სწორი კვალიფიკაციით მიმდინარეობს თუ არა), ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს ეწინააღმდეგება. ასეთი შედეგი არასათანადო მოპყრობის აკრძალვით შექმნილ დასჯის გარანტიებს იღუბორულად აქცევს. შესაბამისად, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის აკრძალვის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებში სახელმწიფოს წარმომადგენელ პასუხისმგებელ პირთა მიმართ ამნისტიის გამოყენება არის საერთაშორისო სამართლის დარღვევა.

თავად ის ფაქტი, გამოძიება რა კვალიფიკაციით მიმდინარეობს

---

<sup>85</sup> იხ. 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებული საქმეები - პოლიტიკური მართლმსაჯულება და სადავო ამნისტია, 2021. <http://www.hrc.ge/files/10220-21%20june.pdf>

ეროვნულ დონეზე, არ არის რეგულაციური კონვენციის მე-3 მუხლის მიზნებისთვის. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ 2019 წლის 20-21 ივნისის აქციის დაშლისას დაკავებულ სამართალდამცველთა წინააღმდეგ გამოძიება არ წარმართა შესაბამისი კვალიფიკაციით, კერძოდ - საქართველოს სსკ-ის 144(3) მუხლით, მათი ნაწილის მიერ ჩადენილი ქმედების შემადგენლობა უნდა შეფასდეს როგორც არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, რაც ევროპული სასამართლოს დადგენილი სავალდებულო სტანდარტით, გამორიცხავს ამ პირებისადმი ამნისტიის გამოყენების შესაძლებლობას. ამასთან, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ევროპული კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებულ პრინციპებსა და სამართლებრივ ტერმინებს ავტონომიური მნიშვნელობით განმარტავს. მათი განმარტება შეიძლება, არ ემთხვეოდეს იმ მნიშვნელობას, რომელიც ამ ტერმინებსა და პრინციპებს ენიჭებათ სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით.

„ამნისტიის შესახებ საქართველოს კანონი“ უკვე შეეხო პირთა ფართო წრეს. სამოქალაქო აქტივისტმა, ბეჟან ღორთქიფანიძემ, მიუხედავად იმისა, რომ მისი დანაშაული საქმეში არ იკვეთებოდა, ფაქტობრივად, დაშინაშავდა ცნო თავი და დათანხმდა ამნისტიას. რაც შეეხება 2019 წლის 20-21 ივნისის მოვლენების დროს ბრალდებულ სპეცრაზმელებს, მათ თანხმობა განაცხადეს და შეეხოთ ამნისტია. კანონის გამოყენებაზე უარს აცხადებს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი, ბესიკ თამილიანი, რომლის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე დღემდე თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილება.

## დასკვნა

ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ 140 საქმის სასამართლო მონიტორინგის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ანგარიში მოიცავს სამართლიანი სასამართლოს პრინციპების საკითხებს, რომლებიც მონიტორინგისა და ანალიტიკოსის მიერ არის იდენტიფიცირებული და რასაც მონიტორინგის მიმდინარეობისას სისტემური ხასიათი ჰქონდა. ანგარიში მოიცავს საქართველოს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე პრინციპული სამართალწარმოების პრაქტიკის თითქმის ყველა ასპექტს, რომლებიც შეფასებულია საერთაშორისო სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან მიმართებით.

სასამართლო პროცესების მონიტორინგის შედეგად, 2020 წლის მსგავსად, 2021 წელსაც გამოვლინდა მთელი რიგი ხარვეზები სხვადასხვა სფეროში, როგორცაა: კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ გასამართლების უფლება, საზოგადოებრივი ნდობა სისხლის სამართლის სისტემის მიმართ, საჯარო განხილვის უფლება, უდანაშაულობის პრეზუმფიცია, პატივისა და ღირსების უფლება, მსჯავრებულის/ბრალდებულის ჯანმრთელობის

დაცვის უფლება, თავისუფლების უფლება, მხარეთა თანასწორობა, გონივრულ ვადაში გასამართლების უფლება, მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების უფლება, სასამართლო სხდომებზე ბრალდებულის დასწრების უფლება, შეჩვენებითი სამართალი და პოლიტიკური მოტივები. აგრეთვე, სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ქმედებები, რაც, პირველ რიგში, გამოიხატება მოქალაქეებზე პატიმრის და პაციენტის უფლებების უხეშ დარღვევაში, შესაძლოა, შეფასდეს, როგორც პატიმრის მიმართ არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა.

მწვავე პირობებში წარმოადგენს ისეთი შემთხვევები, როცა ხელისუფლების წარმომადგენლები სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე საუბრობენ ბრალდებულთა ბრალეულობის შესახებ, რითაც არღვევენ უდანაშაულობის პრეზუმციას, რაც ხელს უწყობს ბრალდებულ პირების საზოგადოების თვალში დამნაშავედ წარმოჩენას. ამასთან, ასეთი განცხადებები, ნეგატიურ გემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე პიროვნებების მიუკერძოებლობისა და პოლიტიკური ნეიტრალიზაციის შესახებ.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა/დაკავების საქმეებზე, სასამართლოში ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნა პირთა სამართალდამრღვევად ცნობის შესახებ, დაუსაბუთებელი და შაბლონური; მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების თითქმის 100% პოლიციური მოწმეების ჩვენებაა.

უმეტესწილად, პირობები და დაცვის მხარის შუამდგომლობების დაკმაყოფილების საკითხი; უარის თქმის საფუძვლები კი დაუსაბუთებელი ან/და არასაკმარისია.

საბოლოო ჯამში, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ქვეშ არსებულ საქმეებში უმრავლესობაში არ იყო უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოს უფლებები. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო განხილვისას გამოვლენილი ხარვეზები, შესაძლოა, არ არღვევდა სამართლიანი სასამართლოს უფლებას თავისთავად, მაგრამ გარკვეული ინდივიდუალური შემთხვევების, ცადკეული საკანონმდებლო ხარვეზებისა და ზოგადად პირობები სასამართლო პრაქტიკის კომბინაცია, საფრთხეს უქმნიდა სამართლიანი სასამართლოს უფლების სრულ დაცვას საერთაშორისო სტანდარტებისა და ადამიანის უფლებების კანონმდებლობის შესაბამისად. ამან კი, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, გამოიწვია შეშფოთება მთლიანად სისხლისსამართლებრივი დევნის ორგანოებისა და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ.



## ჩველმენდაციები

### **სასამართლო ხელისუფლებას:**

• მოსამართლეებმა უზრუნველყონ სამართლიანი სასამართლო პროცესი და მიღებული გადაწყვეტილებების მაღალი სტანდარტით დასაბუთებით, სამოსამართლო ქსევის ბანგაღორის პრინციპების დაცვით, აამაღლონ საზოგადოების ნდობა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ;

• მართლმსაჯულებაზე საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელების მიზნით, სასამართლოებმა უზრუნველყონ სხდომის საჯაროობის პრინციპის დაცვა - ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მიეცეს სასამართლო სხდომაზე დასწრების უფლება, როცა არ არსებობს სხდომის დახურვის კანონით გათვალისწინებული საფუძვლები;

• მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე სასამართლოებმა უზრუნველყონ სხდომების ჩატარება დიდ სასამართლო სხდომის დარბაზებში;

• სხდომის თარიღისა და დანყების დროის ცვლილების შემთხვევაში, გონივრულ ვადაში მოხდეს ცვლილებების ასახვა სასამართლოს ვებგვერდზე; ასევე, სასამართლო სხდომების შესახებ საზოგადოებისთვის მუსტი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, სასამართლოებმა შექმნიან განახლებად ვებგვერდს, რათა საზოგადოებამ დაომრკოლებად მიიღოს ინფორმაცია სასამართლო სხდომების ჩატარების თარიღის, დროის და ადგილის შესახებ;

• უზრუნველყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევა;

• უზრუნველყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების მხარეთა თანასწორობის პრინციპის დაცვითა და მიუკერძოებლად განხილვა;

• უზრუნველყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მოსამართლეთა დადგენილებებში დასაბუთებულობის ხარისხის ამაღლება;

• უზრუნველყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის პროცესში მტკიცების ტვირთის სწორად განაწილება, არ მიანიჭოს უპირატესი იურიდიული ძალა ერთი მხარის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს და ყოველმხრივ და სწორად იქნას გამოკვლეული ისინი;

• შეაფასოს სასამართლო პროცესზე წარდგენილი მტკიცებულებები და მათი მოპოვების კანონიერების საკითხი;

• მოსამართლეებმა უზრუნველყონ სასამართლო სხდომებზე წესრიგის დაცვა. სასამართლოს სხდომის დარბაზიდან გასულ პირებს, განსაკუთრებით კი - სასამართლო მონიტორებს დართონ უკან დაბრუნების ნება, სასამართლოს

მანდატურების თანხმობით;

- სასამართლოებმა უნდა განიხილონ თითოეული ბრალდება თითოეულ ბრალდებულთან მიმართებით, მტკიცებულებებზე მითითებით. ასევე - განმარტონ გადაწყვეტილებაში, თუ რატომ იქნა მტკიცებულება გაზიარებული ან უარყოფილი;

- სასამართლოებმა არ უნდა დაუშვან ბრალდებულად ცნობის დადგენილება მტკიცებულებაზე;

- სასამართლოებმა უზრუნველყონ ბრალდებულის სავალდებულო დასწრება სასამართლო სხდომებზე და ხელი არ შეუშალონ აღნიშნული უფლების რეალიზებას;

- დისტანციური სამართალწარმოებისას სხდომები იყოს ტექნიკურად გამართული; აგრეთვე, დისტანციური სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას, უზრუნველყოფილი იქნას ადვოკატის და კლიენტის კომუნიკაციის კონფიდენციალურობის დაცვა.

### **პროკურატურას:**

- ბრალდების მხარის ქცევა უნდა უზრუნველყოფდეს მონშეთა და დაზარალებულთა დაკითხვისას მათი ძირითადი უფლებების დაცვას, მათ მიმართ პატივისცემასა და ადამიანურ და ღირსეულ დამოკიდებულებას;

- მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს ჩხრევისა და ამოღების ღონისძიებას;

- ხელი შეუწყოს საზოგადოებრივი ნდობის აღდგენას პროკურატურის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ.

### **საგამოძიებო ორგანოებს:**

- დაუყოვნებლივ უზრუნველყონ აუზნადისტებისთვის პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლის ფაქტების მიუკერძოებელი, სწრაფი და უფექტური გამოძიება;

- უზრუნველყონ აუზნადისტთა პროფესიული საქმიანობისთვის ხელის შეშლის ფაქტების შემთხვევაში დანაშაულის შესაბამისი კვალიფიკაცია;

- უზრუნველყონ 5-6 ივლისს განხორციელებულ ძალადობრივ მოგვლენებში მონაწილე ყველა პირის იდენტიფიცირება და ამ ქმედებების ორგანიზატორთა დადგენისა და მათდამი სისხლისსამართლებრივი დევნის ჯეროვანად განხორციელების მიზნით სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება.

**იუსტიციის უმაღლეს საბჭოს:**

- ხელი შეუწყოს სამოგადოებრივი ნდობის აღდგენას სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის მიმართ;

- გამოსცეს რეკომენდაციები, რომელთა მიშველობითაც მოხერხდება სასამართლო პროცესებზე მონიტორინგის და დაინტერესებულ პირთა მონაწილეობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა, რითაც, იმავედროულად, დაცული იქნება პროცესის მონაწილეთა ინტერესები;

- საერთო სასამართლოებში მონიტორინგი გაუწიოს საბჭოს მიერ დამტკიცებული რეკომენდაციების სათანადოდ შესრულების პროცესს.

**იუსტიციის სამინისტროს/სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს:**

- იხელმძღვანელოს ექიმთა მედიკო-ფუნქციური ჯგუფის დასკვნებისა და ადამიანის ღირსების შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფის ვადებულების შესაბამისად და პატიმარს შეუჩინოს აღტერნატიული სამედიცინო დაწესებულება, როცა ამის გადუდებული საჭიროება არსებობს.

**დაცვის ადვოკატებს:**

- მყისიერად აცნობონ სასამართლოს კონფიდენციალური და პრივილეგირებული კომუნიკაციის უფლების განხორციელებისთვის დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობის შესახებ.